პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

კვირა
30
მაისი
1937 წ.
№ 122 (4923)

დღეს გაზეთში:

- — სახალხო მოსამართლე (მოწინავე).
- — საზეიმო სხდომა ილია ჭავჭავაძის დაბადების დღიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად.
- — მესამე ხუთწლედის საკითხების განხილვა.
- — მ. ქარა-მურზა — როგ ორ მზადდებოდა პოლუსის დაპყრობა (ფელეტონი).
- — ამხ. ა. მ. ჭუჩიას ვერაგულად მოკვლა.
- — ილ. ჩიქოვანი — ილია და ლიტერატურული ენა (ფელეტონი).

უცხოეთში:

- — ესპანეთის ფრონტებზე.
- — ფაშისტური გერმანიის პასუხისმგებლობა ინტერვენციისათვის.
- — ინგლისის ახალი მთავრობა.
- — პარტიზანული რაზმის შეტაკება იაპონია-მანჯურიის ჯარის ნაწილთან.

სახალხო მოსამართლე

დიადმა სტალინურმა კონსტიტუციამ, საბჭოთა ორგანოების შემდგომმა დემოკრატიზაციამ ახლებურად დააყენა სასამართლო ორგანოების მუშაობა. იგი სახალხო მოსამართლეებისაგან, სასამართლოს ცალკეული მუშაკებისაგან მოითხოვს იყვნენ მშრომელთა ინტერესების ნამდვილი დამცველნი, სტალინური კონსტიტუციის განუხრელად გამტარებელნი.

ჩვენმა სასამართლო ორგანოებმა, რომელნიც ოქტომბრის რევოლუციის პირმშოებია,—რევოლუციური კანონიერების გამტარებელნი, ბევრი ახალი, სოციალიზმისათვის თავდადებული ადამიანები მოგვცეს, ისეთი ადამიანები, რომელნიც ურყევად ატარებენ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მართლმსაჯულებას. მაგრამ ჩვენში ცოტა როდია აგრეთვე ისეთი სასამართლო ორგანოები, სასამართლო ორგანოების ცალკე მუშაკები, რომელნიც ცუდად მუშაობენ.

ბევრ შემთხვევაში გამოაქვთ განაჩენი აშკარად უკანონოდ, ზუსტად არ იცავენ სტალინური კონსტიტუციის იმ მუხლს, სადაც სწერია, რომ „მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს".

არის შემთხვევები, როცა ჩვენი მოსამართლეები, საქმეს სწყვეტენ არა ამ დიადი პრინციპის მიხედვით, არამედ პირადი განწყობილებით. ეს უმსგავსოება განსაკუთრებით მაშინ იჩენს ხოლმე თავს, როცა საქმეში ესა თუ ის „დიდი კაცი" ჩაერევა.

არის შემთხვევები, როცა სასამართლოს მუშაკები უვიცობის გამო უდანაშაულო ადამიანებს საბრალდებულო სკამზე სვამენ. ასეთ ყოვლად უმსგავსო ფაქტებს ვხვდებით ჩხარის რაისასამართლოში. აქ მოსამართლე კაველაძემ ამა წლის 7 აპრილს ბრალდებულ მიხაკო ფოცხვერაშვილის მაგივრად გაასამართლა და იძულებითი სამუშაო მიუსაჯა იმის ცოლს, რადგან ქმარი სასამართლოში ვერ გამოცხადდა რაიონში არ ყოფნის გამო.

ჩოხატაურის რაიონის მოსამართლემ ბერძენიშვილმა მხედველობაში არ მიიღო ბრალდებულის მიერ წარმოდგენილი ქვითარის ასლი ფულის გადახდის შესახებ. საქმე არასწორად შეადგინა, გაარჩია და უდანაშაულო ჩხიკვაძეს მიუსაჯა 4000 მანეთის გადახდა, საბჭოთა კანონების ყოვლად უმსგავსო დამახინჯებით გაუყიდა სახლი და უსახლკაროდ დასტოვა მთელი ოჯახი. ეს საქმე უზენაესმა სასამართლომ გააუქმა. დაადგინა სახლის უკანვე დაბრუნება, მაგრამ თავქარიან მოსამართლეს არავითარი პასუხი არ მოსთხოვა.

ზოგჯერ ირღვევა კონსტიტუციის ის მუხლი, რომელიც ნაცუმცირესობას ეხება. ამის შესახებ სტალინურ კონსტიტუციაში სწერია: „სასამართლო წარმოება საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე ხორციელდება ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის ენაზე ანდა ავტონომიური ოლქის ენაზე; იმ პირთათვის, რომლებმაც ეს ენები არ იციან, უზრუნველყოფილია საქმის მასალების სრული გაცნობა მთარგმნელის საშუალებით და აგრეთვე სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება". მაგრამ ეს ვერ გაიგეს ორჯონიკიძის რაიონის (თბილისი) სასამართლოს ხელმძღვანელებმა და ბრალდებულ ოაზევადოვსკის, რომელმაც ქართული არ იცის, არ მისცეს თარჯიმანი, არ გააცნეს საქმე, ფაქტიურად დაუკითხავად მიუსაჯეს ექვსი თვის იძულებითი მუშაობა. უფრო სავალალო ის არის, რომ ამ საქმიდან სათანადო დასკვნა ვერ გააკეთეს ვერც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა კუკულავამ, არჩვაძემ და მგალობლიშვილმა. მათ ამ საქმეზე გამოიტანეს მეტად „ბრძნული" განაჩენი: „კასატორის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივად შეწყნარებულ იქნას. განაჩენი გაუქმდეს. საქმე გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს განსახილველად სხვა შემადგენლობით". ასეთი „სიბრძნის" ნიმუშები მრავლად გვხვდება უზენაეს სასამართლოში.

იშვიათი არ არის შრომის კანონის დარღვევა და არასწორი განაჩენის გამოტანა. თითქმის ყველგან ირღვევა შრომის საკითხების გარჩევის ვადები. ნაცვლად იმისა, რომ შრომის საკითხები ირჩეოდეს ერთი დეკადის განმავლობაში, ისინი თვეობით ჭიანურდება და ხშირად სახელმწიფოს მეტად ძვირად უჯდება თავგასული ადმინისტრაციის მიერ თანამშრომლების უკანონოდ მოხსნა. სახალხო სასამართლო ხშირად ფორმალურად, ბიუროკრატიულად უდგება საკითხს, ზოგჯერ ვერ იჩენს ბოლშევიკურ სიმტკიცეს, რომ დროულად და ბოლომდე გაატაროს თავისი განაჩენი, პროლეტარული რისხვა დაატეხოს იმ თავგასულ ადმინისტრატორს, რომელიც აბუჩად იგდებს საბჭოთა კანონებს.

უფრო აღმაშფოთებელი ის არის, რომ სასამართლოს „მეურნეობის" მოუწესრიგებლობით, საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულების შედეგად ზოგჯერ დამნაშავე სასჯელს იხდის არა იმის მიხედვით, თუ რამდენი მიუსაჯა მას სასამართლომ, არამედ იმდენს, რამდენსაც ჩაუწერს კანცელარიის გადამწერი - ბიუროკრატი. „ნდობით აღჭურვილ" გადამწერთა შედგენილ საქმეებს მოსამართლეები მეტნაწილად არ ამოწმებენ, განაჩენს მექანიკურად აწერენ ხელს. ხოლო „გულმოდგინე" გადამწერები კი ხშირად წლინახევრის მაგივრად ორნახევარ წელიწადს სწერენ.

აღნიშნული ფაქტები ნათლად ადასტურებენ, რომ ზოგიერთმა სასამართლო ორგანოებმა ვერ გამოიტანეს სათანადო დასკვნა დიადი სტალინური კონსტიტუციიდან. მათ სჩანს დაავიწყდათ, რომ სტალინური კონსტიტუცია ითვალისწინებს სახალხო მოსამართლეების პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩევას, რომ ეს მშრომელთა ხელში უძლიერესი იარაღი იქნება სასამართლო ორგანოების მუშაობის გასაჯანსაღებლად, რომ ამომრჩევლები პერსონალურად მიუდგებიან ყველა მოსამართლეს, „უკუაგდებენ უვარგისთ, ამოშლიან მათ სიებიდან, წამოსწევენ უკეთესთ და წამოაყენებენ მათ კანდიდატურებს" (სტალინი).

დროა გამოფხიზლდნენ სასამართლო ორგანოები, საფუძვლიანად გარდაქმნან თავიანთი მუშაობა და განუხრელად გაატარონ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მართლმსაჯულება.

საინფორმაციო ცნობა

ა.-წ. 25-დან 27 მაისამდე მიმდინარეობდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხი:

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მომზადება საბჭოების არჩევნებისათვის ახალი საარჩევნო სისტემით და კომკავშირში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებანი და კომკავშირული ორგანოების ანგარიშები და არჩევნები. მომხსენებელი ამხ. ა. მგელაძე.

პლენუმმა მოხსენების გამო მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

პლენუმმა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობის შემსრულებლად აირჩია ამხ. ა. მირცხულავა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგედ დამტკიცებულია ამხ. ა. იაშალაშვილი.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ დამტკიცებულია ამხ. შ. მთვრალაშვილი.

მორალური გახრწნისათვის და საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მუშაობის ჩაშლისათვის, პლენუმმა თავისი შემადგენლობიდან გარიცხა 26 კომისრის სახელობის რაიკომის ყოფილი მდივანი მღებრიშვილი. (საქდესი).

◇

ესპანელი ხალხის დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა

ლენინგრადი, 28 მაისი (საქდესი). გმირი ესპანელი ხალხის დელეგაციამ ერთი თვე დაჰყო საბჭოთა კავშირში. 28 მაისს დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა.

თბომავალი „კოოპერაციის" გამგზავრების წინ, რომლითაც წავიდნენ ესპანელი სტუმრები, მეზღვაურთა კლუბთან მიტინგი გაიმართა. ყიროვის ქარხნისა და „ტრეუგოლნიკის" მუშათა, აგრეთვე ლენინგრადის მეცნიერთა სახელით ძვირფას სტუმრებს კეთილი მგზავრობა უსურვეს ამხ. დმიტრიევმა, ჟურავლიოვმა და აკად. ა. ნ. სამოილოვიჩმა.

მათ სოციალიზმის ქვეყნის მთელი მშრომელების გრძნობები გადასცეს თავისუფალი ესპანეთის მოქალაქეთ, უსურვეს გზა მშვიდობისა, მალე გამარჯვება ფაშიზმზე და სთხოვეს გადაეცათ, რომ საბჭოთა ხალხი მთელი გულითა და ფიქრით დემოკრატიული ესპანეთის მებრძოლებთან არის.

—ვიყავით რა ლენინგრადში, მოსკოვში, კიევში, სევასტოპოლსა და იალტაში, შევხვდით რა სტალინს წითელ მოედანზე, ჩვენ დღეს ჩვენი გულით მიგვაქვს გრძნობა, რომლის გამოხატვაც შეიძლება ორი ფრაზით, — სთქვა საპასუხო სიტყვაში ხოზე ალკალა ზამორამ, — და შესძახა რუსულად:

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

— გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!

◇ ◇ ◇

ამხ. ლიტვინოვის საუბარი კროფტასთან

ჟენევა, 28 მაისი (საქდესი). გუშინ ამხ. ლიტვინოვმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი კროფტა და ხანგრძლივად ესაუბრა მას.

ამავე დღეს საღამოს კროფტამ მცირე და ბალკანეთის ანტანტათა სახელმწიფოების დელეგაციებს გაუმართა სადილი, რომელზედაც მიწვეული იყვნენ აგრეთვე ამხ. ლიტვინოვი და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დელბოსი.

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპ. სააგენტოს მიერ ბილბაოდან, ვალენსიიდან და ლონდონიდან მიღებული ცნობებით)

ბისკაის ფრონტი

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი ბილბაოდან იუწყება, რომ 27 მაისს ბისკაის ფრონტზე რესპუბლიკელთა ჯარმა ავიაციის დახმარებით მაგრად დაარტყა მეამბოხეებს ორდუნია-ბარამბიოს უბანზე. ჯარის მოქმედებას წინ უძღოდა საარტილერიო მომზადება. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ რესპუბლიკელებმა უკან დაახევინეს მტერს სობრე-აიას მაღლობამდე. მეამბოხეებმა დიდი დანაკლისი განიცადეს.

27 მაისს ინტერვენტთა ავიაცია მთელი დღის განმავლობაში უშენდა ყუმბარებს ტერიტორიას ბილბაოდან ორდუნიამდე, აგრეთვე ქალაქებს მუნგიასა და გატიკს (ბილბაოს ჩრდილო-აღმოსავლეთით).

სანტანდერის ფრონტი

ინტერვენტთა თვითმფრინავებმა ქალაქ რეინოსში ჩაჰყარეს 150-ზე მეტი ყუმბარა. არის ადამიანთა მსხვერპლი.

ასტურიის ფრონტი

როგორც საკავშირო დეპეშათა სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი იუწყება ბილბაოდან, 27 მაისს ქალაქ ოვიედოს დასავლეთ ნაწილში ასტურიელ მაღაროელთა ჯარმა აიფეთქა მთელი რიგი მონაღმული გალერიები და აიძულა მეამბოხეები დაეტოვებინათ კარგად გამაგრებული ბლოკჰაუზები. ფრონტის დანარჩენ უბნებზე შედარებით სიწყნარეა.

ცენტრალური ფრონტი

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი ვალენსიიდან იტყობინება, რომ რესპუბლიკელთა ჯარმა გვადალახარის ფრონტზე დაიკავა მეამბოხეთა პოზიციები ესპინოსთან და ლა მუელთან, აგრეთვე სოფელი ესპლეგარესი, სადაც მეამბოხეებმა უკანდახევისას დატოვეს რამდენიმე სატვირთო მანქანა და საომარი მასალა მნიშვნელოვანი რაოდენობით. რესპუბლიკელთა ავიაცია ყუმბარებს უშენდა მეამბოხეთა პოზიციებს გვადალახარის ჩრდილოეთით და ავილის პროვინციაში.

რესპუბლიკელთა არტილერია და ავიაცია ყუმბარებს უშენდნენ მტრის პოზიციებს მდინარე ტახოს სამხრეთით. ამ რაიონში მეამბოხეთა საკომუნიკაციო ხაზების უმეტესობა რესპუბლიკელთა ცეცხლის ქვეშ იმყოფება. არტილერია ყუმბარებს უშენდა აგრეთვე ქალაქ ტოლედოსა და მის მიდამოებს.

27 მაისს ღამით ელ პარდოს რაიონში (მადრიდის ჩრდილო-დასავლეთით) რესპუბლიკელთა მხარეზე გადავიდა 23 მეომარი. მათ რიცხვში ერთი მაროკოელი.

ფაშისტური გერმანიის პასუხისმგებლობა ინტერვენციისათვის

ლონდონი, 27 მაისი (ტელეგრაფით „იზვესტიის" საკ. კორესპონდენტისაგან) (საქდესი). „ესპანის" სააგენტო ჟენევიდან მიღებულ დეპეშაში კატეგორიულად უარჰყოფს ინგლისური გაზითების ცნობებს, თითქოს ალვარეს დელ ვაიოს ერთა ლიგის საბჭოს წინაშე დაესვას მხოლოდ იტალიელთა ინტერვენციის საკითხი. არანაკლები ყურადღება აქვს დათმობილი გერმანიის ინტერვენციას, განსაკუთრებით გერმანელი ფაშისტების ბოროტმოქმედებას ბისკაის ფრონტზე. დელ ვაიო უარჰყოფს აგრეთვე ცნობებს, თითქოს მას დელბოსის წინადადებით გადაეწყვიტოს შეარბილოს თავისი სიტყვის ტექსტი. პირიქით, მე მაქსიმალური სიმტკიცით გამოვალო.

ბრიტანეთის სამხედრო ავიაციის ყოფილმა ექსპერტმა ვუდმა, რომელიც ბასკთა მთავრობის წინადადებით არაოფიციალური წესით აწარმოებდა გამოძიებას გერნიკის დანგრევის გამო, განაცხადა:

„მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ გერნიკა დაანგრიეს და მას ტყვიამფრქვევებით დაუშინეს სწორედ გერმანიის თვითმფრინავებმა. ადგილობრივ მერს, მღვდლებსა და სხვა პირებს, რომელნიც ბომბარდირების მოწმენი იყვნენ, უჩვენეს სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავთა 50 ფოტოსურათი და მათ ყველამ სრულიად უყოყმანოდ მიუთითეს „ჰაინკელზე —51" და „ჰაინკელზე—111", როგორც იმ თვითმფრინავთა ნიმუშებზე, რომელთაც გერნიკა დაანგრიეს".

ჯენკინსი.

მეამბოხეთა კრეისერის „ბალეარესის" ავარია

პარიზი, 28 მაისი (საქდესი). „ესპანის" სააგენტოს გიბრალტარიდან იუწყებენ, რომ მეამბოხეთა კრეისერი „ბალეარესი" გუშინ ჩავიდა კადიქსში მძიმე ავარიის ნიშნებით. კრეისერი მოთავსებულია სარემონტო მშრალ დოკში. ავარიის მიზეზებს მალავენ.

ლონდონი. 28 მაისი (საქდესი). „დეილი ჰერალდის" გიბრალტარელი კორესპონდენტის ცნობით, კადიქსიდან ჩამოსულმა ინგლისელმა განაცხადა, რომ იქ მიღებულია სპეციალური ზომები, რათა კრეისერ „ბალეარესის" დაზიანების ამბავი არ გახმაურდეს. ამ მნახველის სიტყვით, როდესაც „ბალეარესი" გემთსადგომში შევიდა, მასზე ავიდნენ იტალიელი საზღვაო ექსპერტები, ხოლო გემსადგომს გარშემოარტყეს იტალიელი მუშაკები. კრეისერის ეკიპაჟს აუკრძალეს ნაპირს გადმოსვლა. კრეისერს ნაწილობრივ დანგრეული აქვს წინა ნაწილი და ფოკანძა.

რადიოსადგურების ნაციონალიზაცია ესპანეთში

ვალენსია, 27 მაისი (საქდესი). მთავრობამ დაადგინა — სახელმწიფოს გადაეცეს ყველა რადიოსადგური და რადიოგადამცემი, რომლებიც კი პოლიტიკურ პარტიებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის განკარგულებაშია.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ხირალმა მინისტრთა საბჭოს აცნობა, რომ ესპანეთის მთავრობის „თეთრმა წიგნმა" ჟენევაში ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

ინგლისის ახალი მთავრობა

ლონდონი, 28 მაისი. (საქდესი). რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ინგლისის მთავრობა შემდეგი შემადგენლობისაა:

პრემიერი — ნევილ ჩემბერლენი (ყოფილი ფინანსთა მინისტრი), კონსერვატორი.

ფინანსთა მინისტრი — ჯონ საიმონი (ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი), ნაციონალ-ლიბერალი;

შინაგან საქმეთა მინისტრი—ხორი (ყოფილი საზღვაო მინისტრი), კონსერვატორი;

საგარეო საქმეთა მინისტრი—იდენი. კონსერვატორი;

დომინიონების საქმეთა მინისტრი — მალკოლმ მაკდონალდი;

კოლონიების მინისტრი—ორმსბი-გორი, კონსერვატორი;

ინდოეთის საქმეთა მინისტრი — ლორდი ზეტლენდი, კონსერვატორი:

ვაჭრობის მინისტრი — ოლივერ სტენლი (ყოფ. განათლების მინისტრი), კონსერვატორი;

საზღვაო მინისტრი—დაფ კუპერი (ყოფ. სამხედრო მინისტრი), კონსერვატორი;

სამხედრო მინისტრი—ხორ-ბელიშა (ყოფ. ტრანსპორტის მინისტრი), ნაციონალ-ლიბერალი;

ავიაციის მინისტრი—ლორდ სუინტონი, კონსერვატორი;

თავდაცვის კოორდინაციის მინისტრი—ინსკიპი, კონსერვატორი;

საბჭოს თავმჯდომარე — ლორდი-გალიფაკსი (ყოფ. ბეჭდის შემნახველი ლორდი), კონსერვატორი;

ლორდ-კანცლერი — ხეილშემი, კონსერვატორი;

ბეჭდის შემნახველი ლორდი-დე ლა ვარი (კოლონიათა მინისტრის ყოფ. მოადგილე), ნაციონალ-ლეიბორისტი;

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — კინგსლეი - ვუდი, კონსერვატორი;

განათლების მინისტრი—სტენხოპი (საზოგადოებრივ სამუშაოთა ყოფ. მინისტრი), კონსერვატორი;

მიწათმოქმედების და მეთევზეობის მინისტრი—მორისონი, კონსერვატორი;

შრომის მინისტრი—ბროუნი, ნაციონალ-ლიბერალი;

ტრანსპორტის მინისტრი—ბერჯინი (ვაჭრობის სამინისტროს ყოფ. საპარლამენტო მდივანი), ნაციონალ-ლიბერალი;

საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი—სასუნი (ავიაციის მინისტრის ყოფ. ამხანაგი), კონსერვატორი;

გენერალური პროკურორი (იუსტიციის მინისტრი) — სომერველი, კონსერვატორი;

გენერალური მდივანი—ო. კონორი, კონსერვატორი;

პენსიების მინისტრი—რემსბოზემი, კონსერვატორი;

ფოსტის მინისტრი—ტრაიონი, კონსერვატორი.

ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავი

საზეიმო სხდომა ოპერისა და ბალეტის თეატრში

29 მაისს დაიწყო საიუბილეო ზეიმი ქართული ლიტერატურის გამოჩენილი კლასიკოსისა და საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უაღრესად პოპულარული მოღვაწის ი. გ. ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

საიუბილეო დღესასწაული გაიხსნა საზეიმო სხდომით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. თეატრი გაჭედილია მშრომელებით, მეცნიერებისა და ხელოვნების, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებით. საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არის საიუბილეო კომიტეტის მთელი შემადგენლობა კომიტეტის თავმჯდომარის, საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრის ამხ. ჭკუასელის მეთაურობით, აზერბეიჯანის ხალხის დელეგაცია ამხ. სამედ ვურგუნის, რაგიმის, მირზა იბრაჰიმოვის და კრაშის შემადგენლობით, აფხაზეთის დელეგატები ამხ. გულია და ჩანბა, აჭარის წარმომადგენელი ამხ. ი. ნაკაიძე და სამხრეთ-ოსეთის წარმომადგენელი ამხ. ჩერმენი.

ხსნის რა საზეიმო სხდომას, ამხ. ჭკუასელი აღნიშნავს, რომ მხოლოდ გენიალური სტალინის ეპოქაში განხორციელდა ის იდეები თავისუფალი და ბედნიერი ქართველი ხალხის შესახებ, რომელთაც ემსახურებოდა და რომელთათვის იბრძოდა ი. ჭავჭავაძე.

ვრცელი მოხსენებით ი. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. დ. დემეტრაძე.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით გამოდის დრამატურგი - ორდენოსანი ს. შანშიაშვილი, რომელმაც წაიკითხა ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი. თბილისის მეცნიერ მუშაკთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მიხ. ზანდუკელმა.

გულთბილად ხვდება დარბაზი მოძმე აზერბეიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენლის — პოეტ მირზა იბრაჰიმოვის გამოჩენას ტრიბუნაზე. მისი სიტყვა ხალხთა მეგობრობის შესახებ დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი.

მირზა იბრაჰიმოვმა სთქვა, რომ მალე გამოვა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა კრებული აზერბეიჯანულ ენაზეო.

აფხაზეთის მშრომელთა სახელით გამოვიდა ამხ. ჩანბა. მან გამოაქვეყნა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ცაკის დადგენილება იმის შესახებ, რომ აფხაზურ ენაზე გამოცემულ იქნას ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთა ერთტომეული, ქართულ სკოლებს სოხუმსა და გუდაუთში ეწოდოს პოეტის სახელი და სოხუმის ერთერთ ქუჩას დაერქვას ი. ჭავჭავაძის ქუჩა.

შემდეგ გამოვიდნენ ამხ. ნაკაიძე— აჭარის მშრომელთა სახელით და ჩერმენი — სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა სახელით.

ამხ. ჭკუასელმა წაიკითხა მთავრობის დადგენილება იმის შესახებ, რომ თბილისში აგებულ იქნას ი. ჭავჭავაძის ძეგლი, დაიდგას ობელისკი პოეტის მკვლელობის ადგილზე წიწამურში, დაწესდეს ი. ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიები სახელმწიფო უნივერსიტეტში და ჭავჭავაძის სახელი ეწოდოს განსახკომის მე-3 სკოლას თბილისში.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა მხატვრული საღამო. საღამო შესდგებოდა ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებისა და თანამედროვე პოეტების ნაწარმოებებისაგან, რომლებიც მიძღვნილია ქართული რეალისტური ლიტერატურის ფუძემდებლისადმი. სამხატვრო განყოფილებაში მონაწილეობას იღებდნენ ოპერისა და დრამის არტისტები. შესრულებული იყო ნაწყვეტები ოპერა „კაკო ყაჩაღიდან", რომანსები, დაწერილი ილია ჭავჭავაძის სიტყვებზე და წარმოდგენილი იყო სცენა „კაცია ადამიანიდან" მარჯანიშვილის თეატრის მსახიობთა შესრულებით.

ილიასადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტ გ. ლეონიძისა— არტისტმა ა. იმედაშვილმა და გ. ქუჩიშვილმა. ილიას ლექსები წაიკითხეს არტისტებმა ხორავამ, ვასაძემ, თ. ჭავჭავაძემ, პ. კობახიძემ. საღამოზე გამოვიდა აგრეთვე ლენინგრადელი პოეტი ბორის ბრიკი, რომელმაც წაიკითხა მის მიერ რუსულად თარგმნილი ილიას ლექსები და ილიასადმი მიძღვნილი პოეტ. კ. ჭიჭინაძის ლექსი ასევე მის მიერ თარგმნილი.

მეტად საინტერესოდ წაიკითხა მსახიობმა შ. ღამბაშიძემ ნაწყვეტი „მგზავრის წერილებიდან".

დასასრულ გამოვიდა სახელმწიფო კაპელა მ. კუხიანიძის ხელმძღვანელობით.

საღამოს ესწრებოდნენ: ამხ. ლ. ბერია, გ. მგალობლიშვილი და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები.

მოსკოვი. ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოს, სსრკ. დეპეშათა სააგენტოს, „პრავდას" „იზვესტიას"

ჩრდილოეთის პოლუსი, 28 მაისი, 19 საათი (რადიო). 28 მაისს გავამაგრეთ სადგურის მთავარი საცხოვრებელი კარავი, უფრო სწორად - ალუმინის მილაკების კარკასზე სუსხურის ბუმბულისაგან გაკეთებული სახლი, რომელიც ალექსეევმა მოიტანა. დრეიფი გრძელდება, მაგრამ ნაკლები სისწრაფით, ვინაიდან ქარი შესუსტდა. უკანასკნელი კოორდინატებია: განედი 89 გრადუსი და 14 წუთი, დასავლეთის გრძედი—40 გრადუსი.

მაზურუკის თვითმფრინავთან პირდაპირი რადიოკავშირის დამყარება ვერ მოხერხდა, მაგრამ მისი ცნობებიდან ვიცით მისი დაშვების ადგილი. იგი სხვებზე უფრო შორს დაეშვა პოლუსს გადაღმა, მაგრამ მაინც საკმაოდ ახლოს იმყოფება ჩვენგან, რომ ამინდის გაუმჯობესებისთანავე მოფრინდეს სწრაფად, როგორც კი გაასწორებს თავის აეროდრომს ტოროსებისაგან.

მოუთმენლად მოველით ჯალამბარს, რომელიც მაზურუკის თვითმფრინავზეა, ოკეანის სიღრმის გასაზომად და გრუნტის სინჯის ამოსაღებად.

ო. ი. შმიდტი.

„ჩრდილოეთის პოლუსის" სადგურზე

ჩრდილოეთის პოლუსი, 28 მაისი (საქდესი). ალექსეევის თვითმფრინავის მოსვლის შემდეგ კოლონიის მოსახლეობა 29 კაცამდე ავიდა. პოლარული სადგურის მცხოვრებთა სამუშაო დღე ძალზე შემჭიდროვებულია. მიმდინარეობს გახურებული მშენებლობა. დგამენ მამაც მეზამთრეთათვის საცხოვრებელ კარავს, რომელიც ალექსეევის თვითმფრინავმა მოიტანა.

განუწყვეტლივ სწარმოებს სამეცნიერო დაკვირვებანი. ქარძრავამ იწყო ნორმალური ექსპლოატაცია — სტენის აკუმულატორებს. ექსპედიციის კინოოპერატორი ამხ. ტროიანოვსკი ბეჯითად ადევნებს თვალს პოლუსზე ცხოვრების სწრაფმავალ სურათებს, ცდილობს ყველაფერი, წვრილმანებიც კი, აღბეჭდოს აფსკაზე, რათა საუკუნეებს გადასცეს ისტორიული ამბავი.

სისტემატურად სწარმოებს სადგურის ადგილსამყოფელის გამორკვევა. დრეიფს იგი სამხრეთისაკენ მიაქვს. 28 მაისს 0 საათზე სადგური იმყოფებოდა განედის 89 გრადუსსა და 60 წუთზე, დასავლეთის გრძედის 43 გრადუსზე.

რუდოლფის კუნძულზე

რუდოლფის კუნძული, 28 მაისი (საქდესი). რუდოლფის კუნძულზე მთელი დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობს მზადება იმისათვის, რომ მომსახურება გაუწიონ ექსპედიციის თვითმფრინავთა უკან გადმოფრენას. პოლუსის მამაც დამპყრობელთა შესახვედრად თვითმფრინავები „ნ—166" და „ნ—128" ეკიპაჟები ერთხელ კიდევ ათვალიერებენ, ამოწმებენ თვითმფრინავებს; ემზადებიან ამინდის გამოსაკვლევად. აეროდრომზე განუწყვეტლივ მუშაობს ავიაკომპრესორი და აგროვებს ბალონებში შეკუმშულ ჰაერს მოტორების ასამუშავებლად. რადისტები განუწყვეტლივ ადევნებენ თვალს პოლუსს, გადასცემენ იქ მთელი საბჭოთა კავშირიდან, საზღვარგარეთიდან მიღებულ ასობით აღფრთოვანებულ მისასალმებელ რადიოგრამებს.

იმ მეტეოროლოგიური ცნობების მიხედვით, რომლებსაც დედამიწის ყველა კუთხიდან იღებენ, ადგენენ ყოველ დღე-ღამის ამინდის რუკას, იძლევიან პროგნოზებს.

პოლუსიდან თვითმფრინავთა დაბრუნებისას გამოუშვებენ გაზეთს, იწერება ლოზუნგები. სტუმრების შეფრენისას გაიმართება ბანკეტი.

რადიოშუქურა რუდოლფის კუნძულზე

მოსკოვი, 28 მაისი (საქდესი.) ჩრდილოეთის პოლუსზე გაფრენისას ჩვენს მამაც მფრინავებს უდიდესი სამსახური გაუწია რადიოშუქურამ, რომელიც დადგმულია რუდოლფის კუნძულზე.

როგორც ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს რადიოსამსახურის უფროსმა ინჟინერმა ვორობიევმა სსრკ დეპ. სააგ. თანამშრომელს განუცხადა, ეს შუქურა წარმოადგენს თავისებურ გადამცემ რადიოსადგურს. აფრქვევს რა განსაზღვრული მიმართულებით ტალღას, რადიოშუქურა საჰაერო ხომალდებს უჩვენებს ზუსტ კურსს. ექსპედიციის ყველა თვითმფრინავი მოწყობილია პელენგატორული დანადგარებით — სპეციალური მიმღები რადიოსადგურებით, რომლებიც საშუალებას აძლევენ მფრინავებს წაიყვანონ ხომალდები ზუსტად შუქურას მიერ ნაჩვენები კურსით.

რუდოლფის კუნძულიდან ჩრდილოეთის პოლუსის სადგურამდე გზაში არავითარი ორიენტირება არ არის. ამ რაიონში არ შეიძლება დავუჯეროთ მაგნიტური კომპასის ჩვენებებს. ამიტომ რადიოშუქურას სიგნალები ერთადერთი საიმედო საშუალება იყო, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა თვითმფრინავებს წასულიყვნენ ჩრდილოეთის პოლუსისაკენ ღრუბლიან ამინდში ზუსტად მერიდიანის მიხედვით.

თვითმფრინავებისათვის სიგნალებს იძლევა დიქსონის კუნძულის რადიოგადამცემი, რომელიც ზოგიერთი სხვა რადიოსადგურის გადაცემასთან ერთად ახდენს ხომალდების ორიენტაციას კურსის სწორად აღების მხრივ.

რუდოლფის კუნძულის შუქურას კიდევ უფრო დიდი სამუშაო მოელის იმ დროისათვის, როდესაც საჰაერო ექსპედიცია მოდრეიფე ყინულიდან „დიდ მიწაზე" დაბრუნდება. უკან გადმოფრენის დროს ამ თვითმფრინავებს აგრეთვე დახმარებას გაუწევს სურვილის კონცხის რადიოშუქურა.

ამინდი ჩრდილოეთის პოლუსზე

28 მაისს, დილის 7 საათზე, ჩრდილოეთის პოლუსზე სქელი ღრუბლები იყო. მოდიოდა სუსტი თოვლი. ქარის ძალა სამ ბალს უდრიდა. ხილვადობა — 4-დან 10 კილომეტრამდე, სიცივე 9 გრადუსი. მოსკოვში გამოგზავნილ მორიგ მეტეოროლოგიურ ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ახალი პოლარული სადგურის — „ჩრდილოეთის პოლუსის" — კოორდინატებია განედის 89 გრადუსი და 15 წუთი, დასავლეთის გრძედის 43 გრადუსი.

13 საათისათვის მეზამთრეთა ადგილსამყოფელის კოორდინატები იგივე იყო. ცა მთლად ღრუბლებით იყო დაფარული. თერმომეტრი უჩვენებდა მინუს 8 გრადუსს.

19 საათზე ხილვადობა გაუარესდა 2-4 კილომეტრამდე. თოვდა. ცა კვლავ სქელი ღრუბლებით დაიფარა. ტემპერატურა — 9 გრადუსამდე ნოლს დაბლა. ჰქროდა ძლიერი სამბალიანი ქარი. სადგურის კოორდინატები იყო ისეთივე, როგორც დილით — განედის 89 გრადუსი და 15 წუთი და დასავლეთის გრძედის 42 გრადუსი.

გერმანია-იტალიის სააქციო საზოგადოება

ბერლინი, 28 მაისი (საქდესი). ესენის „ნაციონალ-ცაიტუნგი" იუწყება, რომ დაარსდა გერმანია-იტალიის ახალი სააქციო საზოგადოება „კომპანია მინერარია ეფიოპიკა", რომელიც მოაწყობს ქვანახშირის ბუდობთა ექსპლოატაციას აბისინიაში.

◇

იტალიაში რკინა დეფიციტური საქონელია

რომი, 27 მაისი, (საქდესი). რკინა იტალიაში იმდენად დეფიციტური საქონელი გახდა, რომ მრავალი შენობის აგება ამის გამო ბრკოლდება. საქმე იქამდე მივიდა, რომ რომში ბაღებს ხსნიან გარშემოვლებულ რკინის მესრებს.

თამბაქოს დარგვა

მიწსახკომის 25 მაისის ცნობებით

რაიონები	დარგულია ჰექტარობით	გეგმის შესრულება %
ლაგოდეხი	2000	60,9
სიღნაღი	952	59,5
გურჯაანი	74	37
ყვარელი	202	44,9
ბორჩალო	812	43,9
ლუქსემბურგი	148	40
ზუგდიდი	153	69,5
წალენჯიხა	48	56,5
ჩხოროწყუ	54	43,2
ჩოხატაური	203	50,8
აჭარის ასსრ	292	36,5
აფხაზეთის ასსრ	6646	58,3
	11593	55,7

თამბაქოს გადარგვის დამთავრების ვადა 1 ივნისია. მიუხედავად ამისა, ეს სამუშაო შეუსრულებელია 9.207 ჰექტარზე, ჩამორჩენილია ყველა რაიონი, აჭარა და აფხაზეთი.

ხშირი ნალექები და ჩითილის შემოსვლა საუკეთესო პირობებს იძლეოდა და იძლევა გეგმის წარმატებით შესასრულებლად. დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს არსებითი გარდატეხა თამბაქოს დარგვაში.

ა. წ. 31 მაისს, საღამოს 7 საათზე, საქფილეგთის საზაფხულო თეატრში (პლეხანოვის პრ. № 123) შესდგება თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. თბილისის ქალაქის საბჭოს 1937 წლის ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება.
(მომხს. ამხ. მ. ნოირაძე).
2. საორგანიზაციო საკითხები.

იქვე, 6 საათზე: პლენუმის პარტჯგუფის სხდომა.

თბილისის საბჭოს ყველა წევრისა და კანდიდატის დასწრება სავალდებულოა.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის აქტივის კრება

მოსკოვი, 28 მაისი (საქდესი). გუშინ საღამოს შრომის სასახლის პროფკავშირთა დარბაზში გაიხსნა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის აქტივის მორიგი კრება. დღის წესრიგში იდგა საკითხი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ 1937 წლის საწარმოო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. ვ. ი. მეჟლაუკმა თავის მოხსენებაში ანალიზი გაუკეთა მძიმე ინდუსტრიის მუშაობას ამა წლის განვლილი პერიოდის მანძილზე და დაწვრილებით შეჩერდა გეგმისაგან წარმოების დარგების უმეტესობის ჩამორჩენის მიზეზებზე. დღემდე ბევრ სამეურნეო მუშაკში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი დაბნეულობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველ კვარტალში მავნებლობასთან დაკავშირებით, შემდეგ კი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლასთან დაკავშირებით. მთავარსამმართველოებისა და ქარხნების ზოგიერთი ხელმძღვანელი იმასაც კი შეეცადა, რომ მართვის უფლებები აქტივისათვის გადაეცა. ჯერ კიდევ ძალიან სუსტად სწარმოებს ბრძოლა მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის მრეწველობის ცალკეულ დარგებში. მთავარსამმართველოთა ბევრი უფროსი და ქარხნების დირექტორები დღემდე იჩენენ ამ მხრივ დაუშვებელ უზრუნველობას, პოლიტიკურ სიბეცეს. გაუბედავად, ძალიან ნელა სწარმოებს ახალი, შემოწმებული, სოციალისტური მშენებლობის საქმის ერთგული ადამიანების წინ წამოწევა. უმნიშვნელოვანეს მუშაობას—შრომის ხელფასის ორგანიზაციას ნაკლები ყურადღება ექცევა. ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე სტახანოვურ მოძრაობას. სამეურნეო მუშაკები, როგორც წესი, არ ზრუნავენ იმაზე, რომ ეს მოძრაობა აიყვანონ ახალ სიმაღლეზე, მტკიცედ, ყოველდღიურად გაავრცელონ სტახანოველთა გამოცდილება, ცხოვრებაში გაატარონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სტახანოვურ მოძრაობაზე, წარმართონ იგი სათბობისა და ნედლეულის ეკონომიისათვის, ვიწრო ადგილების მოსპობისათვის ბრძოლისაკენ.

მრავალრიცხოვანი ფაქტები მოწმობენ სუსტ საწარმოო და ფინანსიურ დისციპლინას მთავარსამმართველოებსა და მძიმე მრეწველობის ბევრ საწარმოში. მფლანგველობა, სახელმწიფო სახსრების დანაშაულებრივი განიავება, დიდკაცური დამოკიდებულება მათდამი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირი მოვლენაა ჩვენს საწარმოებში.

ის, რაც დააკლდა ამ წლის გეგმის შესრულებას, შეიძლება სწრაფად იქნეს ანაზღაურებული და უნდა ანაზღაურდეს კიდეც. წარმოების, მშენებლობის აღმავლობა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მას უნდა დაექვემდებაროს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების მუშაობა. რადიკალურად უნდა გარდაიქმნეს მთელი მუშაობა, უყოყმანოდ უნდა შესრულდეს მთლიანად და გადაჭარბებით მეორე ხუთწლედის უკანასკნელი წლის გეგმა.

ამხ. მეჟლაუკის მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. გამოვიდნენ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ზავენიაგინი, კოლომნის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი ამხ. ლოცენკო, ამავე ქარხნის სტახანოველი ამხ. კუზმიჩევი, „გლავხიმპრომის“ უფროსი ამხ. ტოდორსკი, ქარხანა „კაუჩუკის“ სტახანოველი ქალი ამხ. როსტოკინა, მაკეევკის კიროვის სახ. მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ამხ. ტრახტერი, მეტალურგიული მრეწველობის მთავარსამმართველოს მთავარი ინჟინერი ამხ. ტოჩინსკი და სხვ.

ამხ. ვ. ი. მეჟლაუკის საბოლოო სიტყვის შემდეგ აქტივის კრება დაიხურა.

ერთა ლიგის საბჭოს სხდომა

ჟენევა, 28 მაისი (საქდესი). გუშინ ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე წაკითხულ იქნა ინგლის-საფრანგეთის ნოტა ლიგის გენერალური მდივნის ავენოლისადმი. ნოტაში ლაპარაკია ინგლისისა და საფრანგეთის მოლაპარაკებაზე ბელგიასთან და ინგლის - საფრანგეთის 24 აპრილის ცნობაზე, რომელიც ათავისუფლებს ბელგიას ლოკარნოს ხელშეკრულების ვალდებულებათაგან ინგლისისა და საფრანგეთის მიმართ.

ნოტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დელბოსმა განაცხადა, რომ დაბრკოლებებმა ლოკარნოს ხელშეკრულების ნაცვლად დასავლეთის ქვეყნების ახალი შეთანხმების დადების გზაზე ვერ შეასუსტეს საფრანგეთის მთავრობის სურვილი მიაღწიოს შეთანხმებას. მაგრამ მთავრობას არ ავიწყდება რომ „უშიშროება დასავლეთ ევროპაში და უშიშროება მთელ ევროპაში განუყრელადაა დაკავშირებული“. „უშიშროება დასავლეთში, — აღნიშნავდა დელბოსი, — არ შეიძლება მიღწეულ იქნას მთელი ევროპის უშიშროების საზიანოდ. საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა დასავლეთის ქვეყნების შეთანხმებას უყურებს როგორც განძს საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებაში და იმედი აქვს, რომ ყველა დაინტერესებული ქვეყნის თანამშრომლობის მეოხებით ამ შეთანხმებას შედეგად მოჰყვება ფართო ურთიერთგაგება ევროპის ქვეყნებს შორის“.

დელბოსის შემდეგ გამოვიდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი. იდენის სიტყვით, ინგლისის მთავრობას იმედი აქვს, რომ ბელგიასთან მოლაპარაკების შედეგად გაადვილდება მონაწილეთა უფრო ფართო წრესთან მოლაპარაკების შესაძლებლობა და ყველა დაინტერესებული ქვეყნის უფრო ფართო თანამშრომლობა.

ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სპააკმა აღნიშნა, რომ „ბელგიას განზრახული აქვს მთელი ძალღონით დაიცვას თავისი საზღვრები აგრესიის წინააღმდეგ და ხელი შეუშალოს აგრესორს გამოიყენოს მისი ტერიტორია ჯარის გასატარებლად ან როგორც ბაზა სამხედრო ოპერაციებისათვის ხმელეთზე, ზღვაში ან ჰაერში“. ბელგია, სთქვა სპააკმა, რჩება ერთა ლიგის წესდებისა და წესდებიდან გამომდინარე ვალდებულებათა ერთგული.

◆

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

„საქ. ჩაის“ 25 მაისის ცნობებით

საბჭოთა მეურნეობები	მოკრეფილია ტონობით.	მაისის გეგმის შესრულება პროცენტობით	წლიური გეგმის შესრულება პროც-ბით
ალიბაურის	74,6	100,3	24,1
ჩაქვის	290,2	89,7	21,4
ოჩხამურის	104,9	54,2	10,8
ლაითურის	132,5	82,3	16,4
ნასაკირალის	93,3	87,3	16,6
წულუკიძის	28,8	109,1	20,7
დიდი-ჭყონის	56	85,1	14,5
ლესიჭინის	22,4	117,9	23,6
ნარაზენის	108,5	90,9	18,2
ჯოლეჯიანის	89,8	97,8	18,6
წალენჯიხის	14,6	33,1	5,6
ჩოგვარის	57,6	100	18
კოდორის	21,2	100	20
ჩაის ინსტ. ანასეულის ფართობი	11,6	64,4	13
ჩაის ინსტ. ჩაქვის ფილიალი	10,1	72,1	16
„ ინსტ. ზუგდიდის ფილიალი	10,4	104	21,7
სულ	1076,5	83	17

○

ოჩხამურისა და ნარაზენის საბჭოთა მეურნეობების ცნობები 20 მაისისაა. 25 მაისისათვის მარტო საბჭოთა მეურნეობებში მოკრეფილი იყო 1044.4 ტონა ფოთოლი—მაისის, გეგმის 83.2 პროცენტი და წლიური გეგმის 17,1 პროც.

როგორც ცხრილიდან სჩანს, წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობას 25 მაისისათვის ამ თვის გეგმა მხოლოდ 33,1 პროცენტით ჰქონდა შესრულებული, წლიური—კი 5,6-ით. ცხადია, ამ სამარცხვინო ჩამორჩენის მიზეზი მხოლოდ ერთია—მეურნეობის ხელმძღვანელობა არ იღებს გადამჭრელ ზომებს გეგმის დაჩქარებით და გადაჭარბებით შესასრულებლად, ძლიერი ვეგეტაცია, ფოთლის უხვი მოსავალი საუკეთესო საშუალებას იძლეოდა, რომ თვიური გეგმა დაახლოვებით 25 მაისისათვის შეესრულებინა როგორც წალენჯიხის, ისე ყველა იმ საბჭოთა მეურნეობებს, სადაც დავალება ჯერ კიდევ გაუნაღდებელია (ჯოლეჯიანი, ნარაზენი, დიდი-ჭყონი, ნასაკირალი, ლაითური, ოჩხამური, ჩაქვი).

ეს ჩამორჩენა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს, გეგმა ყოველთვის გადაჭარბებით უნდა შევასრულოთ.

პარტიზანული რაზმის შეტაკება იაპონია-მანჯურიის ჯარის ნაწილთან

შანხაი, 27 მაისი (საქდესი). 25 მაისს ილანის რაიონში (სანცზიან-მანჯურიის პროვინცია) მოხდა პარტიზანული რაზმის შეტაკება იაპონია-მანჯურიის ცხენოსანი ჯარის ნაწილთან. პარტიზანებმა მოჰკლეს 72 იაპონელი და ტყვედ წაიყვანეს 16 კაცი. იაპონია-მანჯურიის ჯარის რაზმი იძულებული გახდა უკან დაეხია.

◇

შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრ სანდლერის ჩამოსვლისათვის მოსკოვში

ჟენევა, 28 მაისი (საქდესი). შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრი სანდლერი მოსკოვში ჩავა 8 ივლისს და არა ივნისში, როგორც წინათ იუწყებოდნენ.

მესამე ხუთწლედის საკითხების განხილვა

მეცხოველეობის კვლევითი ინსტიტუტის ამოცანები

მეცხოველეობის წინაშე მესამე ხუთწლედში დასმული ამოცანების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმაც, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მეცნიერული ბაზა შეუქმნას მეცხოველეობის აღმავლობას—დაამუშაოს მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებანი ყოველი სახის სას.-სამ. ცხოველთა რიცხობრივი და ხარისხობრივი ზრდისათვის, მოზარდეულისა და ზრდადასრულებულ ცხოველთა კვების რაციონალიზაციისათვის, საკვები ბაზის გაფართოებისათვის, მეცხოველეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ამ მიმართულებით ინსტიტუტმა მესამე ხუთწლედისათვის მთელი რიგი ამოცანები დასახა, რომელთა გადაწყვეტაც ნაწილობრივ უკვე დაწყებული აქვს.

ყოველდღიურ მიმდინარე მუშაობასთან ერთად (როგორიცაა მეტიზაციის მუდმივი თვალყურის დევნება და მისი შედეგების აღნუსხვა, სანაშენო საქმის წარმოების ხელმძღვანელობა, ხელოვნური დათესვლის წარმოებაში შთანერგვა, კადრების მომზადება, ჯიშური სტანდარტების დადგენა, ინსტრუქციების შედგენა და სხვ.) მესამე ხუთწლედისათვის ინსტიტუტის მიერ დასახულია შემდეგი ამოცანები:

მეძროხეობის დარგში—ფართოდ გაშლილი მეტიზაციის საფუძველზე მაღალპროდუქტიული და ადგილობრივი პირობებისადმი შეგუებული, ახალი ჯიშების ჩამოყალიბება დიდი და მცირე კავკასიონის ზონებისათვის;

მეკამეჩეობის დარგში—ადგილობრივი კამეჩის სრული შესწავლა, მთელი მისი პოტენციის გამომჟღავნება და ახალი, უფრო პროდუქტიული ხაზების ჩამოყალიბება;

მეცხვარეობის დარგში — ნაზმატყლიან ჯიშებთან ადგილობრივი ცხვრის მეტიზაციის საფუძველზე ახალი, მაღალპროდუქტიული და ადგილობრივი პირობებისათვის სრულიად გამოსადეგი სამატყლე-სახორცე ჯიშის ჩამოყალიბება. ამის პარალელურად, ინგლისური გრძელმატყლიანი ცხვრის გამოყენებით ახალი კროსბრედული მიმართულების ჯიშის ჩამოყალიბება;

მეთხეობის დარგში—მეგრული თხის სას.-სამ. თვისებების სრული შესწავლა, მაქსიმალური პოტენციის გამომჟღავნება და სელექციის სათანადოდ წარმართვა ხსენებული ჯიშის გასაუმჯობესებლად. სათანადო გამაუმჯობესებელი ჯიშის შერჩევა აღმოსავლეთ საქართველოს მეთხეობის გასაუმჯობესებლად;

მეცხენეობის დარგში—ადგილობრივი ცხენების გეგმურ გამაუმჯობესებელ ჯიშებთან მეტიზაციის შედეგების შესწავლა და მის საფუძველზე მეტიზაციისათვის სათანადო მიმართულების მიცემა. ამასთან ერთად მთიანი პირობებისათვის გამოსადეგი ჯორის ტიპის გამოყვანა ადგილობრივი ცხენებისა და ჩამადანის ვირის ჰიბრიდიზაციის გზით;

მეღორეობის დარგში—ღონისძიებათა დამუშავება უახლოეს წლებში სრული მეტიზაციის ჩატარებისათვის, ხოლო ამის პარალელურად მეტიზაციის საფუძველზე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისათვის მაქსიმალურად შესაფერი ახალი მაღალპროდუქტიული ღორის ჯიშების გამოყვანა;

მეფრინველეობის დარგში—ახალი კომბინური (საკვერცხე-სახორცე) მიმართულების ჯიშის ჩამოყალიბება მეტიზაციის საფუძველზე;

ცხოველთა კვების დარგში—ადგილობრივ საკვებთა ყუათიანობის შესწავლა და ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით ახალ საკვებ საშუალებათა გამომჟღავნება (კვების და სხვა სახის მრეწველობის მონარჩენთა გამოყენება). პარალელურად—არსებულ საკვებთა უფრო რაციონალურად გამოყენების მიზნით სხვადასხვა სახის ცხოველთათვის და სხვადასხვა ზონისათვის ტიპური რაციონების დადგენა;

საკვებთ-მოპოვების დარგში—ღონისძიებათა შემუშავება საკვები ბაზის გაფართოებისათვის, კერძოდ: სათიბებისა და საძოვრების მოსავლიანობის გაზრდა, ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების ნაკვეთებად გამოყენების წესის შემუშავება, მთიან ზონაში სათიბებზე ორი მოსავლის მიღება, სათიბ-საძოვრების გაუმჯობესების წესების დამუშავება და სხვ.

მეცხოველეობის პროდუქციის ტექნოლოგიის დარგში რძის პროდუქტების რაციონალური გადამუშავების წესების დამუშავება, დანაკარგებთან ბრძოლა, კამეჩის რძიდან მაღალხარისხოვანი კარაქისა და ყველის დამზადების წესები, ყველის ახალი ტიპის გამომუშავება და სხვ.

ამ ახალ საკითხთა დამუშავებასთან ერთად ინსტიტუტის ერთერთ მეტად პასუხსაგებ ამოცანას შეადგენს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა წარმოებაში გადატანა და შთანერგვა. ამ მიმართულებით ინსტიტუტი იმუშავებს აგრო-ლაბორატორიების განმტკიცებისა და მათთვის სისტემატურად მეთოდიურ მითითებათა მიწოდების გზით.

შ. დადიანი

მეცხოველეობის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

თბილისის დეპოს ზეინკალი, სარანდავი საამქროს პარტორგი ამხ. ზაგოროვსკი გეგმას 250 პროცენტით ასრულებს. სურათზე: ამხ. ზაგოროვსკი მუშაობის დროს.
ფოტო ბუდემსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ასორტიმენტი უნდა გაუმჯობესდეს

(თბილისის მაუდის ფაბრიკა)

თბილისის მაუდის ფაბრიკის მესამე ხუთწლიანი გეგმა აგებულ უნდა იქნას ნედლეულის ბაზის მოსალოდნელი რეკონსტრუქციის საფუძველზე: სახელდობრ, 1942 წელს საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა შესძლოს მეცხვარეობის მეტიზაციის ჩატარება.

ამჟამად ფაბრიკა აწარმოებს ორნაირი სახის რთვას: მაუდისას, რომელიც დამყარებულია უხეში სახის მატყლის გამოყენებაზე, და ინგლისური სისტემის კამვოლურ რთვას. უხეშ მატყლის რთვის ხვედრითი წონა ახლა 95 პროცენტს შეადგენს.

მეტიზაციის ჩატარებით შესაძლებელი გახდება მატყლის და, მაშასადამე, გამოსაშვები მზა ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება.

მეტიზაციასთან დაკავშირებით, 1942 წელს შესაძლებლობა მოგვეცემა მეტიზირებული მატყლის რთვა გავადიდოთ 5 პროცენტიდან 35 პროცენტამდე.

გარდა ამისა, მაუდის სისტემის რთვა გადაყვანილ უნდა იქნას რბილი და ნახევრად უხეში მატყლის გადამუშავებაზე. ამისათვის საჭირო იქნება უკვე ამორტიზებულ მოწყობილობათა განახლება და ამჟამად მომუშავე ხუთი საქსოვი აპარატის ნაცვლად შვიდი ახალი აპარატის შეძენა.

განსაკუთრებულ გაფართოვებას საჭიროებს კამვოლური რთვა, რისთვისაც საჭირო იქნება დამატებით ახალი სართავი მანქანის დადგმა. 1941 წელს უნდა აშენდეს, ხოლო 1942 წელს ამუშავდეს ფრანგული სისტემის სართავი საამქრო, რომელმაც ყოველწლიურად უნდა გადაამუშაოს 800 ტონა ნართი, მათ შორის 400 ტონა ახალ სატრიკოტაჟო კომბინატის საჭიროებისათვის.

სართავი მეურნეობის გაფართოვებასთან დაკავშირებით საჭიროა აგრეთვე საქსოვი საამქროს გაფართოება. ამჟამად ამ საამქროში მუშაობს 120 საქსოვი დაზგა, რომლებმაც 1937 წელს გეგმით უნდა გამოუშვან 1.260 ათასი მეტრი ქსოვილი.

1942 წელს დამატებით უნდა დაიდგას 100 ახალი ავტომატური დაზგა. აქედან 85 სპეციალურად ქალების საკოსტიუმე ქსოვილებისათვის, რაც ფაბრიკის პროდუქციის სრულიად ახალი ასორტიმენტი იქნება.

უხეში მატყლისაგან დამზადებული ნაწარმის სახით მესამე ხუთწლედში უნდა დარჩეს მხოლოდ არტიკული № 477, დანარჩენი პროდუქცია კი გამომუშავებულ უნდა იქნას მერინოსის და მეტიზირებული მატყლის საფუძველზე. ასეთ ღონისძიებათა გატარების შედეგად თბილისის მაუდის ფაბრიკას შესაძლებლობა ექნება მესამე ხუთწლედში პირველად გამოუშვას შალეულის ისეთი მაღალხარისხოვანი ნაწარმოები, როგორიცაა კამგარი, შევიოტი, რბილი მაუდი და წმინდა შალის ტრიკო.

1942 წელს ფაბრიკამ უნდა დაამზადოს 2.717 ათასი მეტრი ქსოვილი. აქედან 2.105 ათასი მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილი.

პროდუქციის ასეთი პროგრამის და ამ ასორტიმენტის შესასრულებლად აუცილებელია ამჟამად არსებული საწარმოო კორპუსი განთავისუფლდეს მატყლის დამხარისხებელი, მატყლის სარეცხი და მექანიკური საამქროებისაგან. მეორე, ფაბრიკის მთავარ კორპუსზე მიშენებულ უნდა იქნას ახალი შენობა, სადაც მოთავსდება ხამი ქსოვილების საწყობი და სანემსე განყოფილება, ხოლო ფრანგული სისტემის რთვის საჭიროებისათვის აგებულ უნდა იქნას სრულიად ახალი საამქრო, დამოუკიდებელი შენობის სახით.

ასეთ ღონისძიებათა გატარების შედეგად ფაბრიკის ძველი კორპუსი განიტვირთება დამხმარე საწარმოებიდან, და დარჩენილი ფართობი, მისი მაქსიმალური შემჭიდროვების პირობებში, დაიტევს მანქანა-მოწყობილობათა და დაზგების ახალ პარტიას.

მესამე ხუთწლედში უნდა მოხდეს მატყლის სარეცხი მეურნეობის რეკონსტრუქციაც, ვინაიდან თბილისის და ქუთაისის ფაბრიკათა სიმძლავრის ორმაგი გადიდების და აგრეთვე მძლავრი სატრიკოტაჟო კომბინატის ამუშავების შემდეგ ძალიან გაიზრდება მოთხოვნილება გარეცხილ მატყლზე. ეს, გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვნად შეამცირებს გარეცხვის თვითღირებულებას, გააადვილებს თვით რეცხვის პროცესს და საგრძნობლად შეამცირებს მატყლის გადაზიდვის სატრანსპორტო ხარჯებს.

ამიტომ, მესამე ხუთწლედში თბილისის ფაბრიკასთან აგებულ უნდა იქნას მატყლის ახალი საამქრო, სადაც გარეცხვასთან ერთად იწარმოებს მატყლის დახარისხებაც.

მიწსახკომმა და სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მესამე ხუთწლედისათვის უნდა დასახონ ცხვრის მეტიზაციის ფართო გეგმა, რათა უზრუნველჰყონ მაუდის წარმოება მაღალხარისხოვანი ნედლეულით.

ნ. კოვაკინი.

თბილისის მაუდის ფაბრიკის ტექნიკური დირექტორი

როგორ მზადდებოდა პოლუსის დაპყრობა

(მოსკოვი, 28 მაისი. ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

თქვენს კორესპონდენტთან საუბარში ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს პოლარული ავიაციის უფროსის მოადგილემ ამხ. ჟურალოვმა განაცხადა შემდეგი:

— მრავალი წლის განმავლობაში ჩრდილოეთის პოლუსი, დედამიწის სფეროს ეს პირობითი წერტილი, მამაც მკლევართა და მეზღვაურთა ყურადღებას იპყრობდა. ყველა ქვეყნის მეცნიერ-მუშაკები თავს იმტვრევდნენ პოლუსის ამოცანის გადასაჭრელად.

არქტიკის განთქმული მკლევარნი — ამუნდსენი, პირი, აგრეთვე მფრინავები ბერდი და ნობილე მიუახლოვდნენ დედამიწის სფეროს ამ „თეთრ ლაქას“ და კიდეც მიაღწიეს მას.

მაგრამ ყველა ეს ცდა საგრძნობწილად რეკორდსმენულ ხასიათს ატარებდა. ჩრდილოეთის პოლუსზე ხანგრძლივად დარჩენაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. პირიმ პოლუსზე სულ რამდენიმე საათს დაჰყო. ასე მოკლე ხანში, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა რაიმე სისტემატურ მეცნიერულ მუშაობაზე.

ცხადია, ჩვენ, ბოლშევიკებს, ვერ დაგვიტაცებდა რაიმე ეფექტიანი, სენსაციური გადაფრენა პოლუსზე ან მოკლე ხნით მასზე დარჩენა. ამოცანა, რომელიც ჩვენ შეგვეძლო დაგვესახა და რომელიც ასე ბრწყინვალედ გადასჭრა ახლა ო. ი. შმიდტის ექსპედიციამ, შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ის, რომ ჩრდილოეთ პოლუსზე ხანგრძლივად დარჩეს მუშაკთა ჯგუფი, რომელიც გეგმაშეწონილ მეცნიერულ მუშაობას აწარმოებს.

მუშაკთა ეს ჯგუფი აღჭურვილი უნდა ყოფილიყო ყველა აუცილებელი მეცნიერული ხელსაწყოებით არქტიკის გულის ამოცანათა გამოსაცნობად, მას უნდა ჰქონოდა მძლავრი რადიოსადგური, ყველა აუცილებელი ცნობების გადასაცემად. პოლუსის დამპყრობთა ამ ჯგუფმა უნდა დააგროვოს უხვი მასალა, რომელიც უეჭველად ძვირფასი შენაძენი იქნება მეცნიერებისათვის.

„ჩელუსკინის“ ეპოპეამ მთელ მსოფლიოს უჩვენა ჩვენი პოლარელი მუშაკების გმირობა, ჩვენი მფრინავების სიმამაცე და ჩვენი თვითმფრინავების საუცხოო თვისებები. „ჩელუსკინის“ ბანაკის გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ ჩრდილოეთის პოლუსის „ათვისება“ მხოლოდ საბჭოთა ქვეყანას შეუძლია. ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველომ დაამუშავა ჩრდილოეთ პოლუსზე დესანტის გადასხმის პროექტი. ეს პროექტი დაამტკიცა ამხანაგმა სტალინმა. და მას შემდეგ ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველო შეუდგა ამ ისტორიული გადაფრენის კონკრეტულად მომზადებას.

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოში გამართულ თათბირზე გამოირკვა, რომ ამ გადაფრენისათვის ყველაზე ხელსაყრელი მანქანის ტიპს წარმოადგენს ანტ—6. ამ თვითმფრინავს შეუძლია დიდი ტვირთის აწევა და დიდი მანძილების დაფარვა. სსრ კავშირის უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილიდან — რუდოლფის კუნძულიდან ანტ—6-ს შეუძლია ისე მიაღწიოს პოლუსს და დაბრუნდეს უკან, რომ საწვავი მასალის მარაგის შევსება არ დასჭირდება. მას შემდეგ, რაც თვითმფრინავის ტიპის საკითხი გადაიჭრა, დაიწყეს ექსპედიციისათვის საჭირო თვითმფრინავების რაოდენობის განსაზღვრა. თვითმფრინავების დიდი რაოდენობის გაგზავნა ისეთი ტრასით, რომელსაც საკმაო მოწყობილი აეროდრომები არა აქვს, არ შეიძლებოდა. აქ გადამწყვეტი იყო იმ ტვირთის რაოდენობა, რომელიც უნდა გადაეტანათ მოდრეიფე ყინულზე ამხ. პაპანინის ბანაკში. გამოირკვა, რომ საჭიროა 9 ტონა ტვირთი. სწორედ ამან განსაზღვრა ექსპედიციაში მონაწილე თვითმფრინავთა რაოდენობა. გადასწყდა, რომ სამ თვითმფრინავზე მოეთავსებინათ არა მარტო ყოველივე ის, რაც მეზამთრეებს დასჭირდება, არამედ ისიც, რაც საჭირო იქნებოდა ექსპედიციის ყველა მონაწილეთათვის, მაგალითად, იძულებით დაშვებისა და ყინულზე მოგზაურობის აუცილებლობის შემთხვევაში. სიფრთხილე და წინდახედულება. წინდახედულება და სიფრთხილე. ამით ხელმძღვანელობდნენ მუდამ ექსპედიციისათვის მზადებას. ამიტომ მთავრობის დადგენილებით, გარდა ანტ-6 სამი თვითმფრინავისა დაკვეთილ იქნა მეოთხე თვითმფრინავიც, სათადარიგო. ეს თვითმფრინავი, ასე ვთქვათ, სადარაჯოზე უნდა იდგეს და იცავდეს ჩვენი მეზამთრეების უშიშროებას. იგი დატოვებული იქნება როდოლფის კუნძულზე, რათა ერთი წლის შემდეგ ყინულიდან აიყვანოს ჩრდილოეთის გზის მთავარსამმართველოს პირველი მოდრეიფე ექსპედიცია.

მთელი მზადება ჩრდილოეთ პოლუსზე გაფრენისათვის სწარმოებდა განსაკუთრებით გულმოდგინედ, კიდევ უფრო მეტი სიფრთხილით, ვიდრე წინანდელი არქტიკული, არასაფრენოსნო ექსპედიციებისა.

უდიდესი ყურადღება მიექცა ექსპედიციისათვის საჭირო აღჭურვილობისა და კვების პროდუქტების შერჩევას. განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა თვითმფრინავების მომსახურება გზად, სადგომ ადგილებზე, კერძოდ, როდოლფის კუნძულზე.

პირველ რიგში წამოიჭრა საკითხი თვითმფრინავების ამუშავებისა, რაც უაღრესად გაძნელებულია არქტიკის დაბალი ტემპერატურის პირობებში. როდესაც თვითმფრინავებს ხანგრძლივად დადგომა უხდებათ ყინვაში, თვითმფრინავებიდან უნდა გადმოასხან წყალი და ზეთი, რომლებიც შეიძლება გაიყინოს და მოტორი გახეთქოს. მოტორის ასამუშავებლად აუცილებელია სითხის კვლავ ჩასხმა და მისი გათბობა. ამისათვის საჭირო იქნებოდა დიდძალი ჭურჭელი, რის წაღება ექსპედიციის მონაწილეებს და მფრინავებს, ცხადია, არ შეეძლოთ.

აქ ექსპედიციას დაეხმარა ქიმიური მრეწველობა. მან ჩვენს თვითმფრინავებს მიაწოდა ისეთი სითხე, რომელიც 70 გრადუს ყინვაშიაც კი არ იყინება. ზეთი, რომელიც მხოლოდ 33 გრადუს ყინვაში იყინება, ექსპედიციას მიაწოდა ქიმიის ცენტრალურმა ინსტიტუტმა. მოტორების სპეციალურად მოწყობამ შესაძლებელი გახადა თვითმფრინავის ოთხივე მოტორის ამუშავება სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში. ამას კოლოსალური მნიშვნელობა აქვს არქტიკული გადაფრენებისათვის, როდესაც მოტორების ამუშავებას ყოველთვის დიდი დრო სჭირდებოდა.

მიხეილ ვასილის-ძე ვოდოპიანოვის წინადადებით თვითეული თვითმფრინავის 4 მოტორი ერთმანეთთან შეერთებულია რეზინის მილებით. სპეციალური ლამპა — „პრიმუსი“ ათბობს ერთ მოტორს საჭირო ტემპერატურამდე, გამთბარი სითხე ამ მილებით მიდის რიგ-რიგობით თვითეულ შემდგომ მოტორში და ამრიგად ამ რთულ მანქანას, რომლის მოტორების გასათბობად საჭირო იქნებოდა არა მარტო დიდი დრო, არამედ სითბოს დიდი რაოდენობაც, შესაძლებლობა ეძლევა აფრინდეს მინიმალურ ხანში.

ექსპედიციის მფრინავთა შემადგენლობამ მომზადების დროს ბევრი ძვირფასი ტექნიკური წინადადება შეიტანა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამხ. ვოდოპიანოვის და ბორტმექანიკოსების ბასუნის, ივაშინის და სუგრობოვის ძვირფასი წინადადებანი.

თვითმფრინავების ხელახლა მოწყობაში ბევრი სიყვარული და მზრუნველობა ჩააქსოვა გორბუნოვის სახელობის საავიაციო ქარხანამ, კერძოდ ამ ქარხნის დაუღალავმა ინჟინერმა ამხ. ტიმოფეევმა.

ჩვენ ბევრით ვართ დავალებული ფრუნზეს სახელობის ქარხნისაგანაც, რომლის კოლექტივმა განსაკუთრებული გულმოდგინებითა და სიყვარულით მოამზადა ექსპედიციისათვის „ამ-34 რდპ“ მოტორები. ამ საუცხოო მოტორებით შეიძლება ყოველგვარი დავალების შესრულება. ამაში არცერთს ჩვენგანს ეჭვი არ შესდიოდა. მთელი რიგი ტექნიკური ღონისძიებების გზით ქარხანამ მიაღწია თვითეული მოტორის სიმძლავრის გადიდებას 40 ცხ. ძალით. **მთელი ექსპედიციისათვის ამან მოგვცა დამატებითი ზრდა 600 ცხ. ძალით.** ამან უზრუნველჰყო უფრო მეტი რწმენა ჩრდილო პოლუსის მიღწევისა და დაპყრობისა.

ექსპედიციის მომზადების დროს დიდი ყურადღება დაეთმო ყველა ეგრეთწოდებულ „წვრილმანს“. ყოველი მათგანის გარშემო ჩაღდებოდა დისკუსია და შედეგად ვღებულობდით სწორ გადაწყვეტილებას. მაგალითისათვის მოვიყვან საკითხს იმ სასადილო ჭურჭლის შესახებ, რომლითაც ახლა ჩვენი მეზამთრეები სარგებლობენ. თითქოს ნაკლები წონის გამო საჭირო იყო ალუმინის ჭურჭლის წაღება, მაგრამ აქ მხედველობაში იქნა მიღებული, რომ ალუმინის ჭურჭელს, მიუხედავად მთელი რიგი ღირსებებისა, აქვს დიდი ნაკლიც — იგი სითბოგამტარია და საჭმელი მასში მხოლოდ მაშინ არის ცხელი, როდესაც ცხელია თვით ჭურჭელი, მაგრამ ცხელი ჭურჭლიდან ჭამა-სმა უხერხულია: იგი პირსა სწვავს. მაშასადამე, მეზამთრეებს უნდა ეცადნათ, სანამ გაცივდებოდა ჭურჭელი, ე. ი. სანამ გაცივდებოდა მასში ჩასხმული საჭმელი ან სასმელი. ამიტომ გადაწყდა უარი გვეთქვა ალუმინის ჭურჭელზე.

მეზამთრეთა ტანსაცმლის საკითხის გადაწყვეტისას ჩვენ გავითვალისწინეთ ამ მხრივ გამოცდილება ამუნდსენისა, რომელსაც საკმაოდ ბევრჯერ უმოგზაურია ფეხით არქტიკაში. ყურადღება მიექცა ერთი შეხედვით ისეთ მცირე დეტალსაც, როგორიცაა წინდები. შევჩერდით მოკლე წინდებზე, რომლებიც შეიძლება, თუ დასველდებიან, კაცმა თავისუფლად გაიხადოს და ღამით საძილე ტომარაში დააშროს. ეს შეიძლება ძალიან ჰიგიენურიც არ იყოს, მაგრამ სავსებით მიზანშეწონილია. არ შეიძლება წინდების შრობა ცხელი საჭმლის მომზადების დროს, ხოლო მათ გასაშრობად პრიმუსების ცალკე ანთება იქნებოდა საწვავი მასალის ზედმეტი ხარჯვა.

დამუშავებულ იქნა აგრეთვე საკითხი ექსპედიციის მონაწილეთა კვების შესახებ ხანგრძლივი მრავალსაათიანი გადაფრენების დროს. გადაფრენის პირობებში შეუძლებელია ამა თუ იმ კერძის სპეციალურად მომზადება, ხოლო მთავარი ის არის, როგორც ეს მფრინავებმა კარგად იციან, რომ ჰაერში კაცს „არა ჰშიან“.

აქ გამოგვადგა შოკოლადი „კოლა“, რომელიც შეიცავს კაკლის ძინარევს და ძალიან გამამხნევებლად მოქმედებს ორგანიზმზე. ამ შოკოლადით ექსპედიცია საკმაოდ იქნა მომარაგებული. საინტერესოა აღვნიშნოთ შემდეგი ფაქტი. რამდენიმე წლის წინათ აფრიკაში ევროპელმა კოლონიზატორებმა შენიშნეს, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც ხანგრძლივი მუშაობის დროს განსაკუთრებული ამტანობით გამოირჩევიან, გამუდმებით ღეჭავენ რაღაც საჭმელს. ეს აღმოჩნდა კაკალი „კოლა“, რომელიც ორგანიზმზე მეტისმეტად კეთილად მოქმედებს. და ექსპედიცია თავისი ხანგრძლივი გადაფრენების დროს ნარიან-მარიდან მატოჩკინ შარამდე, მატოჩკინ შარიდან რუდოლფის კუნძულამდე და რუდოლფის კუნძულიდან ჩრდილო პოლუსამდე სარგებლობდა შოკოლად „კოლათი“, ამ საიმედო საკვები საშუალებით.

არქტიკის ბოლშევიკური დაპყრობის მთელი დიდი გამოცდილება, საუკეთესო პოლარელი მფრინავები გაერთიანებულ იქნენ ექსპედიციის წინაშე მთავრობის მიერ დასახული ამოცანის მისაღწევად. ამ ექსპედიციისათვის ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარმა სამმართველომ შეარჩია საუკეთესონი საუკეთესოთაგან. მათ წილად ხვდათ დიდი პატივი განეხორციელებინათ თავისი მნიშვნელობით უდიდესი დავალება.

ამ გმირული საქმის ჩამდენ ადამიანებს შესანიშნავი თვისებები ახასიათებს. აი ივანე დიმიტრის-ძე პაპანინი — უშრეტი ენერგიის ადამიანი, მხნე და მხიარული ყოველგვარ გარემოებაში. მას შეუძლია გააერთიანოს თავის გარშემო ადამიანები და ჩასდოს მათ თავისი ენერგია თვით უმძიმეს წუთებში. იგი ყოველთვის მზად არის გასწიროს სიცოცხლე ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

აი ორდენოსანი, მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილი რადისტი ერნესტ კრენკელი. იგი მთელი თავისი არსებით თავდავიწყებამდე მუშაობს. მას შეუძლია მრავალ საათს იჯდეს აპარატთან, და ამ დროს არ ახსოვს არც დასვენება, არც ჭამა, მან არ იცის დაღლა, ასეთებია სხვა მეზამთრეებიც — ბიოლოგი შირშოვი და მაგნიტოლოგი ფედოროვი.

ეს ადამიანები და დაზამთრების ტექნიკური აღჭურვილობაც გვინერგავენ სრულ რწმენას, რომ ესოდენ წარმატებით დაწყებული საქმე ბრწყინვალედ იქნება დამთავრებული.

გვრწამს, რომ ახლო მომავალში ჩვენი ექსპედიციის მფრინავები ბრწყინვალედ დაამთავრებენ ამ გმირულ დავალებას და ტრიუმფით დაბრუნდებიან მოსკოვში. ისინი მოუახლოვდებიან წითელ დედაქალაქს გაშლილი მწყობრით, გამოერჩევიან ცაზე თავისი ყვითელი შეფერილობით. და მათ მიეგებება და უკან გამოჰყვება საპატიო საჰაერო ესკორტი.

ვ. ჟარა-მურზა.

ჩაის პლანტაციებს ცუდად უვლიან

(სოხუმი, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

აფხაზეთის რაიონებმა 20 მაისისათვის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის თვიური გეგმა 95,8 პროცენტით შეასრულეს, 25 რიცხვისათვის კი საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში დავალება შესრულდა 111,1 პროცენტით, აქედან გალის რაიონში გეგმა შესრულებულია 119,3 პროც., ოჩამჩირეში—96,5-ით.

მიუხედავად ამისა, შემოწმება ამტკიცებს, რომ ჩაის კრეფის ტემპები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. ზომიერმა სითბომ, ნალექებმა და ნიადაგის სხვა ხელსაყრელმა პირობებმა თითქმის ყველგან გამოიწვიეს ყლორტების სწრაფი განვითარება, ფოთლების უხვი მოსავალი. კრეფა კი ბევრგან მეტად ნელა მიმდინარეობს.

ოჩამჩირის რაიონის ბლახტარას (თავმჯდომარე რ. თოდუა), წითელი აკვასკეს (ქ. პაპავა), ლაკობას (მ. კინკორია) და პირველი კიტოულის (ხ. ჩარქაზია) სახელობის კოლმეურნეობებში ადგილი აქვს ფოთლის მასობრივად გადაზრდას, 3—5 ფოთლის ნაცვლად ყლორტი ხშირად 8-10 ფოთლიანია და უხეშდება, ხოლო ყრუ დუყებს იშვიათად ჰკრეფენ. ამავე დროს აქ არის შემთხვევები, როცა დაბალ, 25-30 სანტიმეტრიან და მეტად სუსტ ბუჩქებს ჰკრეფენ.

ჩაის კრეფაში განსაკუთრებით ჩამორჩენილია აგრეთვე წითელი მოკვას (თავმჯდომარე ნ. ბიბავა), ლ. ბერიას (ილორის სას. საბჭო, კოლმ. თ-რე ც. ჯიტავა), ვოროშილოვის (ჭილოვის სას. საბჭო, რ. რაგანოლი) და სხვ. აქ ხშირად აცდენენ სამუშაო დღეებს, ლაყბობენ და სისტემატური გაცდენები აქვთ. კოლმეურნეობა „კინგში" 65-70 მკრეფავის ნაცვლად სამუშაოზე მხოლოდ 25-30 გამოდის.

დაუდევრობისა და საერთოდ უდისციპლინობის შედეგად მეტად დაბალია მოკრეფილი ფოთლის ხარისხი. მარტო ერთ დღეს მოკვის ჩაის ფაბრიკაში წუნდებულ ფოთოლზე 6 აქტი დაიწერა, 7370 კილოგრამი ჩაის ფოთლიდან თითქმის მეხუთედი წუნდებული და მესამე ხარისხისა აღმოჩნდა (ჩილოუდან მოიტანეს 650 კილოგრამი ფოთოლი, რომელშიაც 77 პროცენტი უხეში იყო. ასევე უვარგისი აღმოჩნდა „აგუას" კოლმეურნეობის 109 კილოგრამი ფოთოლი).

სამარცხვინო ჩამორჩენაა პლანტაციების პირველ თოხნაში. მიუხედავად იმისა, რომ ბალახი თითქმის ყველგან ბევრია და თოხნის დამთავრების ვადაც 1 ივნისია, აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გეგმა მხოლოდ 36—37 პროცენტით არის შესრულებული. ჩამორჩენილია როგორც სოხუმის, ისე ოჩამჩირის (32—49 პროც.) და გალის (34,4-37) რაიონები.

რა მდგომარეობაშია აზოტოვანი სასუქების შეტანის, სიდერანტების თესვისა და ქარსაფარების გაშენების საქმე? ქარსაფარი მცენარეები ჩაისათვის აფხაზეთში 1 ივნისამდე 1.100 სიგრძივ მეტრზე უნდა დაირგას. 20 მაისისათვის ეს სამუშაო არცერთ რაიონში დაწყებულიც არ იყო.

გუდაუთის კოლმეურნეობებში აზოტოვანი სასუქი 46 ჰექტარზე უნდა შეეტანათ და სიდერანტები დაეთესათ 85-ზე. ეს სამუშაოები ერთი პროცენტითაც არ შეუსრულებიათ. ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობებში სასუქი შეუტანელია 919 ჰექტარზე, ხოლო სიდერანტები დაუთესავია 188-ზე. ასევე ჩამორჩნენ გალის და სოხუმის რაიონები.

დამახასიათებელია, რომ აფხაზეთის მიწსახკომის სუბტროპიკულმა სამმართველომ კერძოდ სათესლე სიდერანტების დათესვის შესახებ მხოლოდ 22 მაისს აცნობა ოჩამჩირის რაიმიწგანს და დამთავრების ვადად 25 მაისი დაუნიშნა.

საერთოდ, აფხაზეთის სამიწათმოქმედო ორგანოების სუსტი მუშაობა, ადგილების სუსტი კონტროლი, ოპერატიულობის უქონლობა, ძალთა მაქსიმალური დატვირთვით გამოუყენებლობა დიდ საშიშროებას უქმნის ჩაის სამუშაოთა შესრულებას. ცხადია, ჩაის ფრონტზე გამარჯვება მოითხოვს უმთავრესად ამ ნაკლთა დაჩქარებით გამოსწორებას. აფხაზეთის ჩაის რაიონებს ყოველგვარი საშუალება აქვთ წარმატებით დაამთავრონ როგორც კრეფა, ისე ჩაის სხვა სამუშაოები. ამის თავდებია სტახანოველთა რიცხვის უმაგალითო სწრაფი ზრდა, სარეკორდო მაჩვენებლები (სტახანოველი ქალი უშა ახუბა დღეში 98-100 კილოგრამ ფოთოლს ჰკრეფს, ცაცა ქარდავა 60-80-ს, მანვე წელს მოამზადა 40 საუკეთესო მკრეფავი).

ყველა შესაძლებლობა და საშუალება მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

ტრ. თოდრაძე.

თბილისში სუსტად ემზადებიან ახალი გაწვევისათვის

— ყველა წვევამდელი უნდა იყოს ჯანსაღი, პოლიტიკურად მომზადებული და კულტურული განვითარების მაღალ საფეხურზე მყოფი.

წითელ არმიაში მორიგი გაწვევისათვის მზადებაში წელს ასეთი ლოზუნგია მიღებული. ამ ლოზუნგის შესასრულებლად უნდა იბრძოდნენ რაისაბჭოებიც, საწარმოებიც და თავისუფალი საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც (თავდაცვაავიაქიმი, წითელი ჯვრის საზოგადოება და სხვ.). ჩვეულებრივად გაწვევა შემოდგომაზე ხდება ხოლმე. შემოდგომამდე კი რამდენიმე თვეღა დარჩა და მოსალოდნელი იყო, რომ წვევამდელთა მომზადება წითელ არმიაში გასაწვევად თითქმის დამთავრებული იქნებოდა.

მაგრამ თბილისის საბჭოს თავდაცვის სექციის პლენუმზე, რომელიც 26 მაისს გაიმართა, გამოირკვა, რომ წითელ არმიაში ახალი გაწვევისათვის მზადება თბილისში ძალზე სუსტად მიმდინარეობს. სპეციალურად გამოყოფილი გამომკვლევი ბრიგადების მასალებიდან აღმოჩნდა, რომ ჯერ თბილისის არცერთ რაიონში არაა დამთავრებული ისეთ მასობრივ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩატარება წვევამდელებში, როგორიცაა სხვადასხვა სახადების აცრა, წვევამდელთა განმეორებითი წინასწარი საექიმო შემოწმება, ავადმყოფ წვევამდელთა მკურნალობა და სხვ.

თავდაცვის სექციამ შეიმუშავა ღონისძიებები თბილისში ახალი გაწვევისათვის მზადების საქმის გასაუმჯობესებლად. რაისაბჭოების ჯანმრთელობის განყოფილებებს დაევალათ სასწრაფო წესით შეუდგნენ წვევამდელთა შორის გამაჯანსაღებელ მუშაობას, უმოკლეს ვადაში დაამთავრონ აცრები, განმეორებით შეამოწმონ ყველა წვევამდელის ჯანმრთელობა და მიიღონ ზომები კურორტებზე იმ წვევამდელთა გასაგზავნად, რომლებიც საკურორტო მკურნალობას საჭიროებენ.

შაქრის ჭარხლის სამუშაოები შეუწყნარებლად ჭიანურდება

მეჭარხლეობის რაიონები (ხაშური, გორი, კასპი) პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან. მათ უნდა უზრუნველყონ ჭარხლის ნათესების მაღალხარისხოვანი დამუშავება. ახლანდელი ზაფხული ყოველმხრივ ხელს უწყობს ჭარხლის ნორმალურ ზრდა-განვითარებას. ჭარხლის აღმოცენება ყველგან კარგია. განსაკუთრებით ეს ითქმის კასპის რაიონზე. ყოველგვარი საშუალება არსებობს, რათა გადაჭარბებით შესრულდეს პარტიისა და მთავრობის დავალებანი ჭარხლის მოსავლის გადიდების საქმეში.

მთელი რიგი სტახანოვური ბრიგადები, ჯგუფები და სტახანოველი კოლმეურნენი ენერგიულად იბრძვიან უხვი მოსავლისათვის. მათ უკვე დაამთავრეს ჭარხლის ნათესების პირველი გაფხვიერება, გამოხშირვა და ემზადებიან დამატებითი კვების მისაცემად.

მასალა, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება მოწმობს, რომ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. ჭარხლის ნათესთა სამუშაოებში საერთოდ დიდი ჩამორჩენაა.

25 მაისისათვის მიწსახკომის ცნობებით პირველი გაფხვიერება ჩატარებული იყო 5.347 ჰექტარზე (გეგმის 94,7 პროც.), ამ სამუშაოს ვადა კი 16 მაისისათვის ამოიწურა. შარშან რესპუბლიკაში ჭარხლის ნათესების პირველი გაფხვიერება მთლიანად შესრულებული იყო 20 მაისისათვის.

წელს 25 მაისისათვის გაფხვიერების გეგმა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ კასპის რაიონს. მეტად ჩამორჩა გორის რაიონი. გორის რაიონის კირბალისა (საბჭოს თავმჯდომარე ამხ. დათიაშვილი) და თორტიზის სასოფლო საბჭოებში (თავმჯდომარე ამხ. გ. სირბილაძე) ეს სამუშაო კუს ნაბიჯით მიმდინარეობს. ვარიანის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებს საქმე კიდევ უფრო ცუდად აქვთ. ეს იმითაც აიხსნება, რომ სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ქ. ღდუაშვილი ამას მეორეხარისხოვან სამუშაოდ სთვლის.

კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა ჭარხლის გამოხშირვის მხრივ. 25 მაისისათვის რესპუბლიკის მასშტაბით ეს სამუშაო მხოლოდ სანახევროდ იყო შესრულებული. ხაშურის რაიონს გეგმა შესრულებული ჰქონდა 57,3 პროც., კასპისას —43,9-ით; გორისას—38,6-ით; გამოხშირვის დამთავრების ვადად კი დაწესებულია 1 ივნისი. შარშან 25 მაისისათვის გორის რაიონს გამოხშირვის გეგმა შესრულებული ჰქონდა 94,5 პროცენტით, კასპისას — 84,7-ით, ხოლო ხაშურისას — 70,2-ით.

როგორც ჩანს, მეჭარხლეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები სათანადოდ ვერ აფასებენ გამოხშირვის ვადაზე ჩატარების უდიდეს მნიშვნელობას. ცნობილია, რომ რაც უფრო ადრე გამოიხშირება ჭარხალი, მით უფრო დიდი იქნება ჭარხლის განვითარების ეფექტიანობა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს გორის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობათა, მიწგანისა და მტს-ის უდარდელობა ამ მხრივ. გორის რაიმიწგანი, მტს-ი და ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები თავს „ობიექტური" მიზეზებით იმართლებენ, წვიმები გვიშლის ხელსო. „ნესტიანი განწყობილება" იქ მაგრად აქვს გამჯდარი მთელ რიგ მუშაკებს. რაიკომი და რაიაღმასკომი კი ამას ენერგიულ წინააღმდეგობას არ უწევენ.

მაგრამ თუ წვიმა არის ჩამორჩენის მიზეზი, როგორ მოხდა, რომ ახალ-უბნის კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრა პირველი გაფხვიერება, გამოხშირვა და ემზადება დამატებითი კვების მისაცემად, ხოლო მეზობელმა კოლმეურნეობამ—ახრისსამ—ჯერაც ვერ შესძლო პირველი გაფხვიერების დამთავრება. ეს იმ დროს, როცა ჭარხალი მათ ერთსა და იმავე დროს დასთესეს და აღმოცენებაც ერთგვარი იყო. მეორე მაგალითი. სოფ. ბერბუკის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. აბალაკი) გაფხვიერება და გამოხშირვა ხარისხის მტკიცედ დაცვით ვადაზე შეასრულა. მის მეზობელ სოფ. ხვედეთის კოლმეურნეობას არცერთი ზემოხსენებული სამუშაო არ დაუმთავრებია. ცხადია, წვიმა აქ არაფერ შუაშია. საქმე მხოლოდ ოპერატიულ ხელმძღვანელობაშია.

ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია. გორის რაიონს წელს ნაკისრი აქვს სერიოზული ვალდებულება. საშუალოდ ჰექტარზე აქ, სულ მცირე, 400 ცენტნერი ჭარხალი უნდა მიიღონ. მუშაობის თვითდინებაზე დაყრდნობით ჭარხლის უხვი მოსავალი არ მიიღება. მაგრამ ამას იქ ანგარიშს არ უწევენ.

წარსული წლის გამოცდილების მიხედვით ჭარხლის ნათესებს სამჯერ უნდა მიეცეს დამატებითი კვება, ხოლო მაღალი მოსავლიანობის ნაკვეთს—ოთხჯერ. პირველი დამატებითი კვება უნდა სწარმოებდეს უმთავრესად ადგილობრივი სასუქებით.

მაგრამ ხაშურის, გორისა და კასპის რაიონებში ფრინველის ნაკელისა და ნაკელის წვენის შეგროვება ნელი ტემპებით მიმდინარეობს. განსაკუთრებით ჩამორჩა ხაშურის რაიონი, რომელსაც 1000 ტონის ნაცვლად ნაკელის წვენი დამზადებული აქვს მხოლოდ 100 ტონა. თუ ეს ამთავითვე არ გამოსწორდა, დამატებითი კვების წესიერად ჩატარებას საფრთხე მოელის.

არის სიგნალები, რომ შესაძლოა დამატებითი კვება გააჭიანურონ. მიზეზად სათანადო მანქანების მიუღებლობას ასახელებენ. მიწსახკომის ცნობით, დამატებითი კვების 10 ზანქანა ამ დღეებში იქნება მიღებული.

ადგილებზე ცენტრის მოლოდინში არიან და არ ღებულობენ ყველა საჭირო ზომას დამატებითი კვების შესატანი გუთნების ადგილობრივ დასამზადებლად. საამისო საშუალება კი მოეპოვებათ. უცნაურია მიწსახკომის მარცვლეულის სამმართველოს პოზიცია. სამმართველო თავს არ იწუხებს ამ ხელსაწყოების დაკვეთით წესით დასამზადებლად და ადგილებს სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევს.

ჭარხლის მავნებლებთან ბრძოლაც არ სწარმოებს ორგანიზებულად. არის სიგნალები, რომ თითქმის სამივე რაიონში გაჩნდა მავნებელი—ხვატარი. მიწგანების სპეციალისტები არ სტეხენ განგაშს, ამბობენ, — მავნებელი მასობრივად არ არის გავრცელებულიო. ასეთ უდარდელ განწყობილებას ბოლო უნდა მოეღოს. გადაჭრით უნდა გაძლიერდეს მავნებლებთან ბრძოლის ტემპები.

ხვატარი ყველაზე მეტად გავრცელებულია გორის რაიონში. სოფ. კირბალისა და ახრისის კოლმეურნეობათა მინდვრებზე მავნებლის გავრცელება საშიშ ხასიათს ღებულობს. შაქრის ჭარხალი უხვ მოსავალს გვპირდება და მთელი მუშაობა იმნაირად უნდა წარიმართოს, რომ მავნებელმა არ დააზიანოს არცერთი ძირი ჭარხალი.

დაიწყო მეორე, მნიშვნელოვანი ეტაპი ჭარხლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოვუღოთ თვითდინებას ჭარხლის სამუშაოებში და სასწრაფოდ გამოვასწოროთ შემჩნეული ნაკლოვანებანი.

თ. კუნჭულია

ს. ჩიბათის კოლმეურნეობის (ლანჩხუთის რაიონი) მეაბრეშუმე სტახანოველი ქეთო პატარაია თავისი ქალით შეჰხარის პარკის უხვ მოსავალს.

ფოტო გ. ორაგველიძისა

ზ ე თ შ ი ა:

— საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი.

უცხოეთში:

— ერთა ლიგის საბჭოს სხდომა—საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამ. ლიტვინოვის სიტყვა და ესპანეთის წარმ. ადგენლის ალვარეს დელ ვაიოს გამოსვლა.

— ესპანეთის ფრონტებზე

— ხაიასის მთავრობა გადადგა.

უზბეკთა ხელოვნების დეკადა უდიდეს წარმატებით ჩატარდა

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, იკრამოვი და კერჟენცევი.

მოსკოვი, 31 მაისი (საქტესი). ამ დღეს დედაქალაქის საბჭოთა საზოგადოებრიობის უფართოესი წრეების ყურადღება მიპყრობილი იყო უზბეკთა ხელოვნების დეკადისადმი, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა. უზბეკთა სახელმწიფო მუსიკალური თეატრის ყველა წარმოდგენა და უზბეკთა სახელმწიფო ფილარმონიის ანსამბლების ყველა გამოსვლა უდიდესი წარმატებით მიდიოდა. მომღერლებმა, მუსიკოსებმა, მოცეკვავეებმა უზბეკთა ხალხის ხელოვნების ოსტატთა საუკეთესო წარმომადგენლებმა გვიჩვენეს ამ დღეებში თავიანთი შესანიშნავი გამარჯვებანი, რაც მათ მოიპოვეს კულტურულ ფრონტზე დიადი სოციალისტური რევოლუციის წლების განმავლობაში.

უზბეკთა ხელოვნების ნამდვილი დღესასწაული იყო უკანასკნელი კონცერტი, რომელიც გაიმართა სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში. მასში მონაწილეობა მიიღო უზბეკთა სახელმწიფო მუსიკალური თეატრისა და უზბეკთა სახელმწიფო ფილარმონიის ყველა მსახიობმა.

პარტერი, ლოჟები, იარუსები გაჭედილი იყო. ამ კონცერტს, რომელიც უზბეკისტანის ხელოვნებათა ოსტატებმა არაჩვეულებრივი შემოქმედებითი აღფრთოვანებით ჩაატარეს, დაესწრნენ ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, იკრამოვი და კერჟენცევი.

კონცერტის პროგრამა განსაკუთრებული მრავალფეროვანებით გამოირჩეოდა. მშვენიერი ხალხური სიმღერები სცვლიდნენ მეტად ლამაზ და რიტმულ ცეკვებს. მაყურებლები მქუხარე ტაშით აჯილდოვებდნენ შესანიშნავ მოცეკვავე ქალს — უზბეკთა სს რესპუბლიკის — სახალხო არტისტს თამარ ხანუმს, რომელიც გამოვიდა „კატა უიღუნის", „ზანგის" „პილიას" (აბრეშუმის ქია) და ხორეზმის ცეკვებში. მქუხარე წარმატება ხვდა წილად ბალეტის სოლისტ — ქალს მუქარამ ტურგუნბაევას, რომელმაც ოსტატურად შეასრულა ცეკვა „პახტა" (ბამბა) დაირის აკომპანიმენტით, რასაც ვირტუოზულად უკრავს შრომის გმირი უსტა-ალიმ ქამილოვი. დიდი ინტერესი გამოიწვია უზბეკთა ბალეტის ტექნიკუმის მოწაფეთა გამოსვლამ, რამაც შესაძლებლობა მისცა მაყურებლებს გასცნობოდნენ უზბეკთა ახალგაზრდა მოცეკვავეთა მუშაობას ევროპულ ცეკვებზე.

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე სამხედრო ცეკვამ „პუხტუნმა" წარმოდგენა „ფარხად და შირინიდან". ცეკვის შემსრულებლებმა გვიჩვენეს იატაგანის ხმარების მშვენიერი ტექნიკა.

მაყურებლებმა მხურვალე შეხვედრა გაუმართეს უზბეკთა სს რესპუბლიკის სახალხო არტისტს კარი-იაკუბოვს, უზბეკთა სს რესპუბლიკის დამსახურებულ მსახიობ — ქალს ხალიმ ნასიროვას და სოლისტს ქარიმ ზაქიროვს. ხანგრძლივი ტაში გამოიწვია ხალხურმა სომხურმა სიმღერამ, რაც დიდის აღფრთოვანებით შეასრულა სომხურ ენაზე ხალიმ ნასიროვამ. უდიდესი წარმატებით აღინიშნა ცნობილი სიმღერის „პოლიუშკო პოლეს" შესრულება, რომელიც მშვენივრად იმღერა რუსულ ენაზე მუსიკალური თეატრისა და ფილარმონიის გაერთიანებულმა გუნდმა.

კონცერტმა უმაღლეს აღფრთოვანებას მიაღწია მეორე განყოფილების დასასრულს, რომელიც დამთავრდა ცეკვებით წარმოდგენა „გულსარის" ფინალური სცენიდან და სიმღერით „ბელადს", რომელიც ადიდებს დიადს სტალინურ ეპოქას. დარბაზში დიდხანს გრიალებდა ტაში, რაც მქუხარე ოვაციად იქცა. უზბეკთა ხელოვნების დეკადის მონაწილენი თეატრში მყოფ ყველა მაყურებელთან ერთად აღფრთოვანებით მიესალმნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთ.

რადიო დაზამთრების მოდრეიფე ადგილიდან

მოსკოვი, ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს, საკ. დეპ. სააგენტოს, „პრავდას", „იზვესტიას"

ჩრდილოეთის პოლუსი, 29 მაისი, 23 საათი (რადიო) (საქტესი). 29 მაისს თვითმფრინავით „ნ-171" მოლოკოვი და შეველიოვი დაფრინავდნენ მაზურუკის საძებნელად, მაგრამ ვერ აღმოაჩინეს.

ბოლოს 20 საათზე დამყარდა ორმხრივი კავშირი. ბანაკში მყოფ ჩვენს თვითმფრინავებსა და მაზურუკის თვითმფრინავს შორის. აღმოჩნდა, რომ ის ძალიან ახლოს იყო. მოლოკოვმა ვერ შესძლო მისი აღმოჩენა, ვინაიდან მაზურუკის თვითმფრინავი იმ დროს ნისლით იყო დაბურული. მაზურუკის თვითმფრინავი რიგზეა, ხალხი ჯანმრთელად არის, ყინული მაგარია. აქამდე ის არ აფრენილა, ვინაიდან თავისი 6 კაცით იგი მხოლოდ ხვალ დაამთავრებს აეროდრომის გაწმენდას. ამის შემდეგ, თუ კარგი დარი იქნა, დაუყოვნებლივ მოფრინდება.

ლ. ი. შმიდტი.

პოლუსის რაიონში

ამხ. მოლოკოვის გაფრენის დაწვრილებითი ცნობები

მოსკოვი, 30 მაისი (საქტესი). ჩრდილოეთის პოლუსის ექსპედიციის უფროსის მოადგილის ამხ. მ. ი. შეველიოვისაგან ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოში მიღებულია რადიოგრამა, სადაც იტყობინება ამხ. მოლოკოვის საჰაერო ხომალდის „ნ-171" ფრენის დაწვრილებით ცნობებს. ის ხომალდი ეძებდა მაზურუკის თვითმფრინავს.

დაბალი ღრუბლიანობისა და ბურუსის შემდეგ ამინდი პოლუსზე მკვეთრად გაუმჯობესდა. საჰაერო ხომალდი „ნ-171" გატარებული იქნა სამკუთხედზე, რომლის შუა ხაზი შემდეგ კოორდინატებს შორის იმყოფებოდა: განედის 89 გრადუსი და 10 წუთი, დასავლეთის გრძედის 36 გრადუსი და განედის 89 გრადუსი და 30 წუთი, დასავლეთის გრძედის 105 გრადუსი.

30 მილიან ზოლში ამ ხაზის ჩრდილოეთით არაფრის აღმოჩენა არ მოხერხდა. ათ მილზე სამხრეთით ნისლის კედელი იყო აღმართული. საბურველს ქვეშ, როგორც ეტყობა, უნდა ყოფილიყო მაზურუკი. ჰაერში ხომალდი მიდიოდა რადიოკომპასით, იღებდა ორიენტაციას მ. ვ. ვოდოპიანოვის თვითმფრინავის რაციაზე. კომპასი ჩინებულად მუშაობდა.

ფრენის დროს უეცრად ეთერში აღმოაჩინეს მაზურუკის ხომალდის სიგნალები. ეს ხომალდი მუშაობდა 625 მეტრიან ტალღაზე. თვითმფრინავი „ნ-171" ყურს უგდებდა სიგნალებსა და გამოარკვია, რომ მაზურუკის რაცია მდებარეობს ახლოს, არა უშორეს 60 კილომეტრისა. მაზურუკი პოლარული რადიოცენტრის საშუალებით დიქსონზე გაფრთხილებული იყო. რომ „ნ-171"-ის რაცია ისმენს მის გამოწვევას.

ბოლოს დამყარდა უშუალო კავშირი რმ-რკ-ს შორის (მოლოკოვის თვითმფრინავი—მაზურუკის თვითმფრინავი).

მაზურუკის ხომალდიდან მოვიდა ცნობა, რომ ადამიანები ყველანი ჯანმრთელად არიან, მხნედ ჰგრძნობენ თავს, რომ ისინი 30 მაისს ამთავრებენ აეროდრომის გაწმენდასა და პირველსავე საფრენ ამინდში გამოფრინდებიან ჩრდილოეთის

ილ. ჩიქოვანი

ილია და ლიტერატურული ენა

> ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
> განახლებასა გრიგალის ქროლას,
> ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
> ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,
> და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
> შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
> და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
> ისე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.
>
> ილია ჭავჭავაძე.

სრულიად განსაკუთრებული, უდიდესი როლი არგუნა ისტორიამ ილია ჭავჭავაძეს. მას დაეკისრა არა მარტო ჩვენი მწერლობის, ჩვენი ლიტერატურის მესვეურობა. ილია ჭავჭავაძე მოწოდებული იყო XIX საუკუნის ჩვენი საზოგადოებრივი აზრის, მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ავკარგის განმკითხველად, გზის მაჩვენებლად, და უნდა ითქვას, რომ ილიამ ეს დიდად პასუხსაგები როლი შეასრულა მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ისეთი ბრწყინვალე წარმატებით, როგორიც შეეფერებოდა მის მაღალ ნიჭსა და დიდ ბუნებას.

სტუდენტობისას (1857-1861) ილია ჭავჭავაძე მოიქცა მაშინდელი სამოციანი წლების მოწინავე წრეებში, დაეწაფა სწავლას სოციალურ-პოლიტიკური და სალიტერატურო საკითხების გარკვევას. განსაკუთრებულის სიხალისით სწავლობდა ბელინსკის, დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის ნაწერებს.

რადგან იმ ხანებში რუსეთის მოწინავე რაზმს წარმოადგენდნენ ეგრეთწოდებული სამოციანელები ჩერნიშევსკის მეთაურობით და ისინი მესვეურობდნენ საზოგადოებრივ აზრს, მათი ცნობილი სალიტერატურო ორგანო „სოვრემენნიკი" იყო მოწინავე რუსეთის მაჯის ცემის სწორი მაჩვენებელი. ამ ჟურნალის ირგვლივ იკრიბებოდნენ იმ დროის პროგრესიულად მოაზროვნე პირები პეტერბურგში. ამ წრესთან და ამ ჟურნალთან იყვნენ დაკავშირებულნი გარდა ილიასი, ჩვენი სხვა ცნობილი მოღვაწეებიც: აკაკი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ბ. ღოღობერიძე და სხ.

ეჭვს გარეშეა, მეტად ძლიერი უნდა ყოფილიყო ბუნებით მგზნებარე ილიაზე სამოციანელების გავლენა საერთოდ და კერძოდ ისეთი მტკიცე და მძაფრი რევოლუციონერისა, როგორიც იყო განსაკუთრებული ნიჭითა და ცოდნით აღჭურვილი ჩერნიშევსკი. ეს დიდებული ადამიანი, რომელიც ლენინმა სრულიად სამართლიანად რუსეთის სოციალისტური რევოლუციის წინამორბედად გამოაცხადა, დაბადებული იყო რევოლუციის სტიქიის შვილად; მედგრად იბრძოლა მან ბოლომდის და კიდეც შეეწირა რევოლუციას.

სამოციანელების წრის და განსაკუთრებით პირადად ჩერნიშევსკის გავლენამ უთუოდ ხელი შეუწყო ილიას ურყევი, ფოლადივით მტკიცე მებრძოლი სულის გამოჭედვას. ამ გავლენამ შექმნა ილიაში რევოლუციონერის სიმამაცე და გამბედაობა, რომელიც ისე საჭირო იყო მისთვის მაშინ, როდესაც ის მოევლინა ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებასა და ცხოვრებას განმაახლებლის როლში.

ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, რომ „მგზავრის წერილებში" ქებადიდებით ამკობს ილია ბობოქარსა და დაუცხრომელს თერგს, მგზნებარე სიყვარულს უცხადებს მას, ხოლო მიუკარებელი მყინვარის მეფურ სიდიადესა და თვალწარმტაც სილამაზეს უპატივცემულოდ, მძულვარებით იხსენიებს.

ჯერ კიდევ ჩრდილოეთში, როდესაც რევოლუციურად განწყობილი ილია სამშობლოში დასაბრუნებლად ემზადებოდა, ის უკვე გრძნობდა, თუ რა სასტიკი ბრძოლა მოელოდა მას საქართველოს მაშინდელ სინამდვილესთან. მან კარგად იცოდა, რომ საქართველოს საზოგადოებრივ აზრს, მის მწერლობას და, შეიძლება ითქვას, მთელს მის ყოფა-ცხოვრებას მეთაურობდნენ ირანული პოეზიის გავლენისაგან გაუნთავისუფლებელი, რეალურ ცხოვრებას დაშორებული და საღს აზროვნებას მოკლებული, ჩავსმოკიდებული რომანტიკოსები გრ. ორბელიანის მეთაურობით. მან კარგად იცოდა, რომ სამარცხვინოდ დაკნინებულია ჩვენი ქვეყნის საზოგადოება, წარყვნილია, ენა რომლის მოვლა და პატრონობა თავის ხელშეუხლებელ პრივილეგიად მიაჩნდა ყოველგვარი განახლებისა და პროგრესის მოძულესა და მტერს გრ. ორბელიანს.

ილია დაბრუნდა საქართველოში 1861 წელს და მაშინვე იერიში მიიტანა ძველი თაობის მესვეურებზე. გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი მაშინდელი ერთადერთი ჟურნალის „ცისკრის" ფურცლებზე „მამათა და შვილთა" შორის. ერთის მხრივ იდგნენ გ. ორბელიანი, რევაზ ერისთავი, ბ. ჯორჯაძისა, გ. ბარათაშვილი, ს. ალექსი - მესხიშვილი და მეორე მხრით — ილია, აკაკი, გ. წერეთელი და სხვ. თითონ ილიას მეთაურობით. ამ პოლემიკაში, რომელმაც მიიღო ნიჭთა და აზრთა შეჯიბრების ხასიათი, პირველად გამომჟღავნდა მთელი სიცხადით ილიას მებრძოლი, ძლიერი ტემპერამენტი, მისი გამანადგურებელი ლოგიკა და საკვირველი მახვილგონიერება. ამ თვისებებმა, რომლებიც შემდეგ უფრო განვითარდნენ და გაიშალნენ უფრო ფართო სარბიელზე, ილიას მოუპოვეს დიდი სახალხო ტრიბუნის სახელი.

„მამათა და შვილთა" ბრძოლა ორბელიანისა და მისი თანამოაზრეების სასტიკი დამარცხებით დამთავრდა, ქართული ენის მეურვეობა და პატრონობა ხელიდან გამოჰგლიჯა ილიამ ძველ თაობას და გამარჯვებული კილოთი შეუთვალა მას:

თქვენგან გმობილი,
თქვენგანვე ლტოლვილი
ენა ჩვენ ქოხში ჩვენ შევიფარეთ.

ილია ნამდვილი სალიტერატურო და სახალხო ენის შექმნის ინიციატორია ჩვენში. ეს ის ენაა, საკმაოდ მდიდარი, რომელზედაც ჩვენ ახლა ვწერთ და ვმეტყველებთ. მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე სასოებით უვლიდა, ულოლიავებდა ილია ამ ენას, იღვწოდა მისი სიწმინდის, განვითარებისა და გამდიდრებისათვის. ილიას დიდმა ამაგმა ჰქნა ის, რომ ჩვენი ენა იმდენად მომზადებული დახვდა ახლანდელს დიდს ეპოქას, რომ შეუძლიან მისი დიდი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ილია პირველი მწერალი იყო ჩვენში, რომელმაც მძლავრი შეტევით მოსპო ჩვენს ლიტერატურაში ყოველგვარი ცრუ მიმართულება და ფორმალიზმი, მოსპო ირანული პოეზიის ძლიერი გავლენა, გაჰფანტა რომანტიკულ - მისტიკური ბურუსი და მათს ადგილზე სამკვიდრებელი დაუდგა რეალიზმს, სინამდვილის მარტივად და სწორად ასახვას.

აღნიშნული თვისების წყალობით ილიამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ჩვენს ლიტერატურაში. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი თაობის ინტელიგენციას არცერთ ქართველ მწერალთან არ ჰქონია ისეთი სულიერი სიახლოვე, როგორც ილიასთან. მიუხედავად იმისა, რომ ილიას შემდეგ ცხოვრებამ და მეცნიერებამ დიდი ნაბიჯებით წინწაიწია და მრავალი ცვლილებანი განიცადა, ილიას ნაწერებს ფასი მაინც სრულიადაც არ დაჰკარგვია და დღესაც ისეთივე სიამოვნებითა და კმაყოფილებით აღელვებს მკითხველს მათი წაკითხვა, როგორც ილიას დროს.

მრავალსახოვანი და ფართო გაქანებისა იყო ილიას მოღვაწეობა არა მარტო პოეზიასა და საერთოდ სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში, სადაც ის თვითმპყრობელად გრძნობდა თავს, არამედ დანარჩენ სფეროებშიაც. ძლიერის ტემპერამენტითა და საქმის ღრმა ცოდნით დაწერილი ილიას პუბლიცისტური, კრიტიკული და ისტორიული წერილები დღესაც ნიმუშოდ არის მიჩნეული.

ილიას შეხედულობა პოეზიაზე და საერთოდ მწერლობაზე ისეთია, როგორც შეჰფერის ჭეშმარიტს რეალისტს:

მისთვის არ ვმღერ რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

მართალია, აქ თითქოს პოეტის რაღაც ციურ წარმოშობაზეა ლაპარაკი, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ილიას მართლა სწამდა პოეტის ღვთაებრიობა; აქ მხოლოდ განზრახ ხაზი ესმის პოეტის მაღალ მოწოდებასა და დანიშნულებას.

მთავარი კონკრეტული ამოცანები და პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც დაისახა ილიამ თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის საგნად, ჩემის აზრით, სავსებით და გეგმიანად ჰქონდა გათვალისწინებული პოემა „აჩრდილში", რომლის პირველი ვარიანტი დასწერა მან პეტერბურგში სტუდენტობისას 1859 წელს, ხოლო უკანასკნელი ვარიანტი — 1872 წელს.

პირველი ამოცანაა — საქართველოს ნაციონალური თავისუფლება, ქართველი ერის სუვერენული უფლებანი. ილიას გულს უმღვრევს და მოსვენებას არ აძლევს სტეფანწმინდაში მოხევის მიერ ნათქვამი: — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო",

მეორე ამოცანა იყო — ბატონყმობის გაუქმება და ქვეყნად „შრომის სუფევის" დამყარება.

ყოველ საქმესა და მოქმედებაში შეჰქონდა ილიას თავისი დაუცხრომელი ტემპერამენტი და შეურიგებელი სული. რამდენადაც ქვეყანა მას აკისრებდა პასუხისმგებლობას ყველა საზოგადოებრივ საქმეში, ისიც მძაფრი და ულმობელი იყო, როგორც შინაური, ისე გარეშე მტრების მიმართ. საგულისხმოა ამ მხრივ მისი ბრძოლა იმ დროის რუსეთის ცნობილ რეაქციონერ კატკოვთან, ჟორდანიასთან და სხვ.

ზოგიერთი სომეხი მეცნიერის წინააღმდეგ ბრძოლა, თუმცა ილია თავისებურად მოურიდებელი და დაუნდობელი იყო, არ ატარებდა ეროვნული შუღლისა ან შოვინიზმის მსგავს ტენდენციას; ის იყო პრინციპული ბრძოლა, გამოწვეული მხოლოდ ამ მეცნიერთა მოქმედებით და ქართული ისტორიული ძეგლების დაცვის სურვილით.

რამდენადაც ილია ჩვენში გამომხატველია მთელი დიდი ეპოქისა, მისი მოღვაწეობის ყოველმხრივი შესწავლა და შეფასება ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება კვლევა-ძიების საგნად ჩვენი მწერლებისა და მეცნიერებისათვის. ილიას მხატვრულსა და სხვა ნაწერებში იმდენა აზრის სიღრმეა, რომ ის ადვილად არ ამოიწურება.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მტრის ხელით ტრაგიკულად დაიღუპა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის დირექტორი ორდენოსანი

აკაკი მაქსიმეს-ძე ჟუონია

ალექსანდრა ჭყონია მწუხარებით იუწყება საყვარელი მეუღლის

აკაკი ჟუონიას

ტრაგიკულად გარდაცვალებას.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი თეატრის დირექცია, სარეჟისორო კოლეგია და მთელი კოლექტივი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის ორდენოსანი დირექტორის

აკაკი მაქსიმეს-ძე ჟუონიას

გარდაცვალებას.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი თეატრის პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი თეატრის ორდენოსანი დირექტორის

აკაკი მაქსიმეს-ძე ჟუონიას

გარდაცვალებას.

გაზეთი „კომუნისტის" რედაქციის კოლექტივი მწუხარებით იუწყება ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო ოპერის თეატრის ორდენოსანი დირექტორის, „კომუნისტის" რედაქციის კოლეგიის ყოფილი წევრის

ამხ. აკაკი ჟუონიას

ტრაგიკულად გარდაცვალებას.

მძიმე მრეწველობის ს კომისარიატის აქტივი

მოსკოვი, 28 მაისი (საქტესი). გუშინ საღამოს შრომის სასახლის პროფკავშირთა დარბაზში გაიხსნა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის აქტივის მორიგი კრება. დღის წესრიგში იდგა საკითხი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ 1937 წლის საწარმოო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარმა ამხ. ვ. ი. მეჟლაუკმა თავის მოხსენებაში ანალიზი გაუკეთა მძიმე ინდუსტრიის მუშაობას ამა წლის განვლილი პერიოდის მანძილზე და დაწვრილებით შეჩერდა გეგმისაგან წარმოების დარგების უმეტესობის ჩამორჩენის მიზეზებზე. დღემდე ბევრ სამეურნეო მუშაკში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი დაბნეულობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველ კვარტალში მავნებლობასთან დაკავშირებით, შემდეგ კი კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლასთან დაკავშირებით. მთავარსამმართველოებისა და ქარხნების ზოგიერთი ხელმძღვანელი იმასაც კი შეეცადა, რომ მართვის უფლებები აქტივისათვის გადაეცა. ჯერ კიდევ ძალიან სუსტად სწარმოებს ბრძოლა მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის მრეწველობის ცალკეულ დარგებში. მთავარსამმართველოთა ბევრი უფროსი და ქარხნების დირექტორები დღემდე იჩენენ ამ მხრივ დაუშვებელ უზრუნველობას, პოლიტიკურ სიბეცეს. გაუბედავად, ძალიან ნელა სწარმოებს ახალი, შემოწმებული, სოციალისტური მშენებლობის საქმის ერთგული ადამიანების წინ წამოწევა. უმნიშვნელოვანეს მუშაობას—შრომის ხელფასის ორგანიზაციას ნაკლები ყურადღება ექცევა. ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე სტახანოვურ მოძრაობას. სამეურნეო მუშაკები, როგორც წესი, არ ზრუნავენ იმაზე, რომ მოძრაობა აიყვანონ ახალ სიმაღლეზე, მტკიცედ, ყოველდღიურად გავრცელონ სტახანოველთა გამოცდილება, ცხოვრებაში გაატარონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სტახანოვურ მოძრაობაზე, წარმართონ იგი სათბობისა და ნედლეულის ეკონომიისათვის, ვიწრო ადგილების მოსპობისათვის ბრძოლისაკენ.

მრავალრიცხოვანი ფაქტები მოწმობენ სუსტ საწარმოო და ფინანსიურ დისციპლინას მთავარსამმართველოებსა და მძიმე მრეწველობის ბევრ საწარმოში. მფლანგველობა, სახელმწიფო სახსრების დანაშაულებრივი განიავება, დიდკაცური დამოკიდებულება მათდამი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირი მოვლენაა ჩვენს საწარმოებში.

ერთა ლიგის საბჭოს

ჟენევა, 28 მაისი (საქტესი). გუშინ ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე წაკითხულ იქნა ინგლის-საფრანგეთის ნოტა ლიგის გენერალური მდივნის ავენოლისადმი. ნოტაში ლაპარაკია ინგლისისა და საფრანგეთის მოლაპარაკებაზე ბელგიასთან და ინგლის-საფრანგეთის 24 აპრილის ცნობაზე, რომელიც ათავისუფლებს ბელგიას ლოკარნოს ხელშეკრულების ვალდებულებათაგან ინგლისისა და საფრანგეთის მიმართ.

ნოტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დელბოსმა განაცხადა, რომ დაბრკოლებებმა ლოკარნოს ხელშეკრულების ნაცვლად დასავლეთის ქვეყნების ახალი შეთანხმების დადების გზაზე ვერ შეასუსტეს საფრანგეთის მთავრობის სურვილი მიაღწიოს შეთანხმებას, მაგრამ მთავრობას არ ავიწყდება, რომ „უშიშროება დასავლეთ ევროპაში და უშიშროება მთელ ევროპაში განუყრელადაა დაკავშირებული". „უშიშროება დასავლეთში, — აღნიშნავდა დელბოსი, — არ შეიძლება მიღწეულ იქნას მთელი ევროპის უშიშროების საზიანოდ. საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა დასავლეთის ქვეყნების შეთანხმებას უყურებს როგორც განძს საყოველთაო მშვიდობიანობის განმტკიცებაში და იმედი აქვს, რომ ყველა დაინტერესებული ქვეყნის თანამშრომლობის მეოხებით ამ შეთანხმებას შედეგად მოჰყვება ფართო ურთი-

◇

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

„საქ. ჩაის" 28 მაისის ცნობებით

საბჭოთა მეურნეობები	მოკრეფილია ტონობით	მაისის გეგმის შესრულება პროცენტობით	წლიური გეგმის შესრულება პროც-ბით
სალიბაურის	74,6	100,3	24,1
ჩაქვის	290,2	89,7	21,4
ოჩხამურის	104,9	54,2	10,8
ლაითურის	132,5	82,3	16,4
ნასაკირალის	93,3	87,3	16,6
წულუკიძის	28,8	109,1	20,7
დიდი-ჭყონის	56	85,1	14,5
ლესიჭინის	22,4	117,9	23,6
ნარაზენის	108,5	90,9	18,2
ჯოლევჯიანის	89,8	97,8	18,6
წალენჯიხის	14,6	33,1	5,6
აჩიგვარის	57,6	100	18
კოდორის	21,2	100	20
ჩაის ინსტ. ანასეულის ფართობი	11,6	64,4	13
ჩაის ინსტ. ჩაქვის ფილიალი	10,1	72,1	16
„ ინსტ. ზუგდიდის ფილიალი	10,4	104	21,7
სულ	1076,5	83	17

ოჩხამურისა და ნარაზენის საბჭოთა მეურნეობების ცნობები 20 მაისისაა. 25 მაისისათვის მარტო საბჭოთა მეურნეობებში მოკრეფილი იყო 1044.4 ტონა ფოთოლი—მაისის გეგმის 83.2 პროცენტი და წლიური გეგმის 17,1 პროც.

როგორც ცხრილიდან ჩანს, წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობას 25 მაისისათვის ამ თვის გეგმა მხოლოდ 33,1 პროცენტით ჰქონდა შესრულებული, წლიური—კი 5,6-თ. ცხადია, ამ სამარცხვინო ჩამორჩენის მიზეზი მხოლოდ ერთია—მეურნეობის ხელმძღვანელები არ იღებენ გადამჭრელ ზომებს გეგმის დაჩქარებით და გადაჭარბებით შესასრულებლად, ძლიერი ვეგეტაცია, ფოთლის უხვი მოსავალი საუკეთესო საშუალებას იძლეოდა, რომ თვიური გეგმა დაახლოვებით 25 მაისისათვის შეესრულებინა როგორც წალენჯიხის, ისე ყველა იმ საბჭოთა მეურნეობებს, სადაც დავალება ჯერ კიდევ შეუსრულებელია (ჯოლევჯიანი, ნარაზენი, დიდი-ჭყონი, ნასაკირალი, ლაითური, ოჩხამური, ჩაქვი).

ეს ჩამორჩენა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს, გეგმა ყოველთვის გადაჭარბებით უნდა შევასრულოთ.

როგორ მზადდებოდა პოლუსის დაპყრობა

(მოსკოვი, 28 მაისი. ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

თქვენს კორესპონდენტთან საუბარში ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს პოლარული ავიაციის უფროსის მოადგილემ ამხ. ჟურალიოვმა განაცხადა შემდეგი:

— მრავალი წლის განმავლობაში ჩრდილოეთის პოლუსი, დედამიწის სფეროს ეს პირობითი წერტილი, მამაც მკვლევართა და მეზღვაურთა ყურადღებას იპყრობდა. ყველა ქვეყნის მეცნიერ-მუშაკები თავს იმტრევდ-

ვრი რადიოსადგური, ყველა მეცნიერული ცნობების გადასაცემად. პოლუსის დამპყრობთა ამ ჯგუფმა უნდა დააგროვოს უხვი მასალა, რომელიც უეჭველად ძვირფასი შენაძენი იქნება მეცნიერებისათვის.

„ჩელუსკინის" ეპოპეამ მთელ მსოფლიოს უჩვენა ჩვენი პოლარელი მუშაკების გმირობა, ჩვენი მფრინავების სიმამაცე და ჩვენი თვითმფრინავების საუცხოო თვისებები. „ჩე-

გადაიქცევა ცხოვრების პირველ მოთხოვნილებად" (გვ. 74)?

განა მე გარკვევით არ ვაჩვენებ, თუ „რამდენად დიდია სახელმწიფოს როლი კომუნისტური საზოგადოების მთელ პირველ საფეხურზე, სრული კომუნიზმის დადგომამდე" (გვ. 74, ხაზი წიგნში მაქვს გასმული)?

Без особенных [illegible]
Если глуп, так не пиши,
А особенно — рецензий!

ვფიქრობ, მენაბდე მართლაც მიაგნებს ამ სტრიქონებში ჩაქსოვილ ღრმა აზრს, თუ იგი იუპიტერისგან მაინცდამაინც მკაცრად არ არის დასჯილი — გონება სულ არა აქვს წართმეული.

გ. ქ. სოსელია.

○

რედაქციისაგან:

სწორ, პრინციპულ კრიტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც მკითხველისათვის, ისე თვით ავტორისათვის. ის ფაქტი, რომ ამხ. მენაბდემ წიგნის ავტორს მიაწერა ჩვენი მტრების აზრი, რომელსაც ავტორი გადაჭრით უარყოფს, მოწმობს ამ კრიტიკის ღირსებას.

ინტერესს მოკლებული არ იქნება შემდეგი ფაქტის აღნიშვნა. ა. მენაბდეს დაწერილი აქვს რეცენზია გ. სოსელიას ნაშრომზე, როდესაც ის ჯერ კიდევ დაბეჭდილი არ იყო. თავის რეცენზიაში მენაბდე პირდაპირ ლაპარაკობს, რომ ნაშრომში „სწორადაა გაშუქებული სახელმწიფოს კვდომის საკითხი". ავტორს „ძალიან ცოტა აქვს „თავისუფალი" მსჯელობანი" და იგი „ყოველთვის რჩება ლენინის, სტალინის, პარტიის გადაწყვეტილებათა და სხვ. ფარგლებში.

ამხ. სოსელიას წიგნში „საბჭოები როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა" დაშვებულია მთელი რიგი შეცდომა. მათ შორის ძირითადია ფსევდო-დიალექტიკური დებულება: საბჭოთა სახელმწიფო მტკიცდება და თან კვდება ამავე დროს. ნამდვილად კი ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცება-გაძლიერება ნიადაგს ამზადებს კვდომისათვის.

ავტორიც აღიარებს თავის შეცდომებს, როცა ლაპარაკობს, რომ წიგნში „მთელი პირველი თავი" და სხვა „თავები" „სრულიად არადამაკმაყოფილებლადაა მოცემული", შეცდომები „უსათუოდ არისო". მაგრამ შეცდომების ასე ზოგადად მოხაზვა მართლაც „სრულიად არადამაკმაყოფილებელია". ხოლო ლექცია-მოხსენებებში შეცდომებზე მითითება საკმარისი არ არის—დაბეჭდილი დაბეჭდილითვე უნდა გასწორდეს. Что написано пером не вырубишь.. языком!



გაგრა. ს. ორჯონიკიძის სახელობის დასასვენებელი სახლი.

ფოტო ათასკევოპულოსი („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

„სამანიშვილის დედინაცვალი"

დავით კლდიაშვილმა იმერეთის გაღატაკებულ თავად-აზნაურთა ყოფა-ცხოვრების უკვდავი სურათები მოგვცა. მან ყოველმხრივ დაგვიხატა ამ მომაკვდავი კლასის წარმომადგენელთა ტრაგედია. ეს ტრაგედია კლდიაშვილმა მკვეთრ ჰუმორისტულ ფორმებში მოაქცია. ამ მხრივ „სამანიშვილის დედინაცვალი" მეტად საინტერესო ნაწარმოებია.

ბეჭინა სამანიშვილი მომავლის იმედით არ ცხოვრობს. მას კიდევ შერჩენია აზნაურული ქედმაღლობა. სამაგიეროდ მისი შვილის პლატონის ფიქრი და აზრი მხოლოდ იმ ორიოდე ციდა მიწის გარშემო ტრიალებს, რომელიც მას დღემდე შერჩენია. ამიტომ პლატონ სამანიშვილი ყოველმხრივ ცდილობს, რომ ეს მიწა, რომელიც მას ლუკმა-პურს აჭმევს, ხელიდან არ გაუშვას. ის შიშით შესცქერის ახალ მემკვიდრეს და გაბოროტებამდე მიდის, როცა მის დედინაცვალს ვაჟიშვილი უჩნდება. ამ მოთხრობის გმირთა სიცილი ცრემლნარევი სიცილია.

„სამანიშვილის დედინაცვალი" კარგად გაუსცენიურებია ქ. გელეიშვილს. პიესა მთლიანია და არ არის გადახვეული მოთხრობიდან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კლასიკოსთა ერთი რომელიმე ნაწარმოების გასცენიურება უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე მრავალ მოთხრობათა მონტაჟი. მონტაჟი არ იძლევა ნაწარმოების გმირთა დასრულებულ სახეებს და მაყურებელს აბნევს. ეს „სამანიშვილის დედინაცვლის" დადგმამ ერთხელ კიდევ დაგვანახვა. ეს პიესა, დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა მონტაჟი რომ ყოფილიყო, ასეთი სრული და გარკვეული არ იქნებოდა.

„სამანიშვილის დედინაცვლის" დადგმით მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა უეჭველად ღირსშესანიშნავი საქმე გააკეთა. სპექტაკლში დაცულია კლდიაშვილისებური ჰუმორი, რაც მაყურებელზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. ტიპები გამოკვეთილია სწორად. მათი ხასიათები და ქცევა დახვეწილია და დამაჯერებელი.

პიესის დადგმა ეკუთვნის რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს შალვა ღამბაშიძეს, რომელსაც სწორად გაუგია „სამანიშვილის დედინაცვლის" მთავარი იდეა და მოქმედება შესაფერ ფორმებში გაუშლია. მსახიობები არ არიან შეზღუდულნი. მიზანსცენები კარგადაა დამუშავებული. ჟესტი და ქცევა არ არის გადაჭარბებული. სცენაზე სავნები პეიზაჟთან ერთად იძლევიან დამახასიათებელ კოლორიტს. იმერეთის ბუნება შესაფერ ფერებშია წარმოდგენილი (მხატვარი პროფ. დ. კაკაბაძე). იმერული ოდები, მთაგორები, მინდორი და ხეები მხატვარს მოფიქრებულად აქვს სცენაზე გამოტანილი. ასევე კარგია მუსიკა (კომპოზიტორი მ. კურტიძე). იმერული სიმღერები მოხდენილად არის დამუშავებული და შეხამებულია პიესის მსვლელობასთან.

„სამანიშვილის დედინაცვალი". მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. სურათზე: სცენა პირველი მოქმედებიდან. ბეჭინა—მსახიობი შ. ჯაფარიძე, პლატონი—მსახიობი გრ. კოსტავა

მსახიობთა თამაშის მხრივ ეს დადგმა მეტად საყურადღებოა. ხერხემლიანმა პიესამ, დრამატულმა და კომიკურმა სცენებმა, მოხდენილმა ჰუმორმა საშუალება მისცა მსახიობთა კოლექტივს დახვეწილი სახეები შეექმნათ.

მთავარი გმირის პლატონ სამანიშვილის როლი მსახიობებმა გ. კოსტავამ და დ. ჩხეიძემ კარგად შეასრულეს. განსაკუთრებული სიძლიერით ანსახიერებს პლატონის, ცხოვრების მიერ შეშინებული აზნაურის როლს მსახიობი გ. კოსტავა. პლატონი თავისი წრის ხალხთან შედარებით სერიოზულია, გულჩახვეული, მას ეშინია მომავლისა და ებღაუჭება ერთ ნაჭერს მიწას, რომელმაც ის უნდა აცხოვროს. როგორც ვხედავთ, აქ სულ სხვა განწყობილების ადამიანთან გვაქვს საქმე და მისი ხასიათის გადმოცემა უნაკლოდ შესძლო კოსტავამ.

ასევე კარგად მოგვცა პლატონის ცოლის სახე მსახიობმა თ. ჩარკვიანმა.

დამაჯერებელია შ. ჯაფარიძის მიერ განსახიერებული ბეჭინა სამანიშვილი. ამ ძველი, უდარდელი აზნაურის როლი შესაფერი სიღრმით და ტემპერამენტით შეასრულა ჯაფარიძემ.

ზოგჯერ რომ არ აჭარბებდეს, კარგია მსახიობი გ. შავგულიძის მიერ განსახიერებული კირილე მიმინოშვილი.

ქ. სვანიძემ უნაკლოდ შეასრულა დათია ბრეგაძის ეპიზოდური როლი. ასევე კარგებია ბ. გამრეკელი (ნუჩია), ღ. ბეგალიშვილი (სერაფიონ), ა. ყოჩიშვილი (დარიკო), მ. მგელაძე (ჯიმშერ), ა. სიხარულიძე (კოტე).

რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ტასო აბაშიძემ ბრეგაძის ქვრივის ელენეს შესანიშნავი სახე მოგვცა. მისი თამაში სადაა და უბრალო და კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. ასევე სწორად აქვს გაგებული ელენეს როლი ცეცილია წუწუნავას.

მსახიობმა ს. ჟორჟოლიანმა თავისი ჩვეული ოსტატობით შეასრულა ქარაფშუტა აზნაურის არისტო ქვაშავაძის როლი. ტიპიურია მ. ლორთქიფანიძეც ამ როლში.

კარგია ცალკეული სცენები: პირველ მოქმედებაში ბეჭინას და პლატონის საუბარი, შემდეგ არისტო ქვაშავაძისა და პლატონის შეხვედრა, ბრეგაძეების ოჯახის სცენები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ღობესთან არისტოს და ელენეს საუბარი. ეს სცენა ს. ჟორჟოლიანმა და ტ. აბაშიძემ შესანიშნავად ჩაატარეს.

„სამანიშვილის დედინაცვალი" მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მორიგი გამარჯვებაა.

კლ. გოგიავა

ბრწყინვალე გამარჯვება მალარიასთან ბრძოლის ფრონტზე

პირველ ივნისს სურამში გაიხსნება საქართველოს პროფკავშირების სანატორიუმი მალარიით დაავადებულთათვის. ეს არის ერთერთი გამარჯვება მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე.

მალარია წინათ განუკურნავ სენად იყო მიჩნეული. დღეს იგი შედარებით უბრალო ავადმყოფობაა. ადამიანის სხეულიდან მის გამოსადევნად ჩვენ გვაქვს მრავალი საშუალება. მოგვეპოვება მკურნალობის მეცნიერულად დაზუსტებული და დასაბუთებული მეთოდი, გვაქვს უტყუარი მომქმედი წამლები მალარიის წინააღმდეგ, რომლებიც ყოველწლივ უმჯობესდება.

ადამიანის ორგანიზმი ძლიერ რთული და სათუთი რამ არის. ამასთანავე ერთი კაცის აგებულება დიდად განირჩევა მეორისაგან. თავდაცვის ძალა ყველა ორგანიზმს ერთნაირად არა აქვს განვითარებული. თავდაცვის უნარს მოკლებულ სხეულში იდეალური წამალიც უძლური ხდება. ეს განსაკუთრებით ითქმის მალარიით დაავადებულებზე და ამ მიზეზით ჩვენ ერთის დაკვრით ვერ ვსპობთ ხოლმე ამ სენს სხეულში.

მალარიით დაავადებული უნდა მოვაქციოთ ისეთ პირობებში, რომ მისი ორგანიზმი გაძლიერდეს და სენს გაუმკლავდეს. ერთი ასეთი მძლავრი ფაქტორთაგანია მთა-კლიმატური მკურნალობა. ამ მიზანს ემსახურება სწორედ სურამის სანატორიუმი. იგი მდებარეობს ფიჭვისა და მუხის ტყით დაფარულ მთის ფერდობზე. შენობა კოხტა და ლამაზია. აქ ყველაფერი მოწყობილია იმისათვის, რომ ავადმყოფს მყუდროებასთან, სუფთა ჰაერთან, საუკეთესო კვებასთან ერთად მიეცეს მეცნიერული, დაზუსტებული მკურნალობა. მეცნიერულ ხელმძღვანელობას კისრულობს საქართველოს ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი.

სანატორიუმში მოწყობილია რადიო, საკლუბო და საკონცერტო დარბაზი, სამკითხველო და სხვ.

სანატორიუმის მშენებლობა დაიწყო 1931 წელს. მასზე დაიხარჯა სამი მილიონი მანეთი.

დოც. ბ. ოქროპირიძე.

◇

მწერალთა კავშირში

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პოეტების სექციამ მოაწყო პოეტ იოსებ მჭედლიშვილის ახალი პოემის „შავი რისხვის" კითხვა - განხილვა.

პოემა მიძღვნილია დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის მკვლელობისადმი, დაწერილია ხალხურ კილოზე და აშუქებს ილიას ცხოვრების სამ მომენტს: ილიას დამოკიდებულებას გლეხებთან, ილიას გამოსვლას სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და ილიას მკვლელობას.

პოემის ირგვლივ აზრი გამოსთქვეს მწერლებმა: ალ. არსენიშვილმა, ს. ფაშალიშვილმა, ს. ერთაწმინდელმა, გ. წულუკიძემ, ს. ჩიქოვანმა და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ ილიაზე ასეთი დიდი მხატვრული ნაწარმოების დაწერა პირველია და მისასალმებელი, მასში ბევრია საუკეთესო მხატვრული გამოთქმა, მაგრამ პოემას ახასიათებს ზოგიერთი უხეში თქმაც, რომლებიც უნდა გამოასწოროს ავტორმა.

ფეხბურთი

თბილისი — ბაქო

დღეს, 30 მაისს, ჩატარდება „საკავშირო თასის" გათამაშების მეორე ტური. კალენდარის მიხედვით თბილისში თამაშობენ თბილისის „ლოკომოტივი" და ბაქოს „ტემპი".

შეჯიბრება დიდ სპორტულ ინტერესს წარმოადგენს. აღნიშნული გუნდების ამხანაგური შეჯიბრება ამ ორი კვირის წინათ დამთავრდა ბაქოელების გამარჯვებით—ანგარიშით 2:1.

„ტემპში" თამაშობენ: მაკაგონოვი, რეიხი, კოროტკოვი, შიბაევი, პეტროსიანი, ბაბაიანი, ოგანოვი, სტეპანოვი, მარქაროვი, ამირჯანოვი, აჯაევი.

„ლოკომოტივი" გამოდის თავისი ძირითადი შემადგენლობით: შუდრა, ვორონოვი, აკოპოვი, ღვინიაშვილი, ჩხატარაშვილი, რამიშვილი, ჯეჯელავა, ჩერედნიჩენკო, ლოლაძე, სიხარულიძე, აფრიდონიძე.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

◇

ხელოვნება

„სტუმარ-მასპინძლობა"

31 მაისს თბილისის სანკულტუროს ქართულ თეატრში (პლეხანოვის პროსპ. და [illegible] ქუჩ. კუთხე) გაიმართება ელ. ჩერქეზიშვილის სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია „სტუმარ-მასპინძლობა" ელ. ჩერქეზიშვილის, ვერო მდივნის, ვიქ. ნინიძისა და სხვათა მონაწილეობით.

◇

შემთხვევები

# ქურდების შეპყრობა. მილიციის მეშვიდე განყოფილების თანამშრომლებმა დააპატიმრეს გარკვეული პროფესიის არმქონე ბ. დურგლიშვილი (ბაღდათის ქ. № 9), ნ. ურგებაძე (ჩხავის ქ. № 6) და ი. ზალიევი (მინკევიჩის ქ. № 14), რომლებმაც ნავთლუღის ფეხსაცმლის ფაბრიკის კულტკუთხიდან მოიპარეს მუსიკალური ინსტრუმენტები და მოქ. მახმუდოვს (სამეურნეო ქუჩა № 17) მოჰპარეს ძროხა.

# უბედური შემთხვევა. 28 მაისს დილით რუსთაველის პროსპექტზე, ოპერისა და ბალეტის თეატრის მახლობლად ტრამვაის ვაგონიდან ჩამოხტა მოქ. ლ. ა. კარიცკაია (გრიბოედოვის ქ. № 30) და მისაბმელი ვაგონის ქვეშ მოჰყვა, თვლებმა მას ორივე ფეხი გადასჭრა. კარიცკაია სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში გაგზავნეს.

◇

შესწორება

„კომუნისტის" 29 მაისის ნომერში ამხ. ვ. ეგნატაშვილის სტატიის „ჩატეხილი ხიდის" მე-5 სვეტის მეორე აბზაცის ბოლო სტრიქონი ასე უნდა იკითხებოდეს: „შედეგის მოსასპობად მიზეზის მოსპობაა საჭირო".

◇

პარტკალენდარი

საკანდიდატო ბარათი № 0717064, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მიერ 1936 წლის 15 ივლისს ამხ. მელიტონ კონსტანტინეს-ძე გეგეშიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომი აცხადებს: დაკარგულია პარტიის წევრობის საკანდიდატო ბილეთი № 0717949, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მიერ გერმანე ყარსუმისძე ელიენტის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი იუწყება, რომ მის მიერ მიხეილ ივანეს-ძე კალმახელიძის სახელზე გაცემული 1936 წლის ნიმუშის პარტბილეთი № 1502557 დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

31 მაისს, საღამოს 8 საათზე, ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში ამხ. ჯინჭარაძე აგიტატორებისათვის ქართულად წაიკითხავს მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობაზე. შესვლა ბარათებით.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე ა. იაკობაშვილი.

სსრკ შინავაჭრობის სახ. კომისარიატი
თბილისის საკავშირო უნივერმაღი
ჟორესის ქ. № 7, გაჩერება ავტობუსებისა № 1 და 2.
საზაფხულო სეზონისათვის მიღებულია საავარაკოდ საჭირო საგნები:

წალამნაქსოვი: ავეჯი, ჩემოდნები, ზანდუკები, საწოლები, კალათები, ქისები, თივოიკის ბალიშები, ნავთის ლამფები, თუჯისა და ემალის ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კედლის პირსაბანები და ლითონის სხვა საოჯახო ნაკეთობა.

ტურისტებისა და ფოტომოყვარულთათვის
დიდი არჩევანი დაკომპლექტებული ფოტოაპარატებისა, ფირფიტების, აფსკების, ფოტოქაღალდის და ქიმიკალების ასორტიმენტით. ფოტოგამადიდებლები მოყვარულთა ფოტოაპარატებისათვის. ფოტოლიტერატურა—სახელმძღვანელოები, ექსპონომეტრები, ფოტოგაზეთი და ჟურნალები. რადიო—სრული ძალოვან კვება მიმღებებისათვის, აკუმულატორები, ბატარეებისა და ელემენტების ასორტიმენტი. მომხმარებელთა ინტერესებისათვის იგივე საქონელი გამოშვებულია გასაყიდად საბავშვო უნივერმაღის ფოტორადიოსექციის მიერ (რუსთაველის პროსპ., 4)

ბავშვთა ქვეყანა
(ჟორესის ქ. № 7 და რუსთაველის პროსპ. № 4)
მნიშვნელოვნად შევსებულია საბავშვო სათამაშოების ასორტიმენტი. მიღებულია დასაკეცი სასადილო სკამები, საზაფხულო სათამაშოები, გამაკეპი, კალიასკები, მექანიზებული სათამაშოები, მაგიდის სათამაშოები.

ყველაფერი საბავშვო კერების ბაგებისათვის
სამუსიკო საქონელი
მიღებულია და იყიდება გრამპლასტრესტის ქარხნის პატეფონები უკანასკნელი კონსტრუქციის მემბრანით, რომელიც ხმის ძალითა და სიწმინდით გაცილებით სჯობს ყველა წინათ გამოშვებულს. ცალკე მემბრანები „ვოტის" ქარხნისა და „ტიზპრიბორის" პატეფონები. დიდი არჩევანი სიმებიანი, კლავიშებიანი და სხვ. სამუსიკო ინსტრუმენტებისა.

თბილისის საკავშირო უნივერმაღთან არსებობს მომსახურების ბიურო და ნავაჭრის შესანახი კამერა.

შენაერთ სალაროში მომხმარებელი გადაიხდის სხვადასხვა სექციებში შერჩეული ნავაჭრის ღირებულებას და მცირე საფასურით შეუძლია დაავალოს მათი მიტანა სახლში.

კონსულტაცია ფოტო-რადიოს საკითხებზე, ჟორესის ქ. 7, მე-4 სართული.
1098 დირექცია.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

30-V	გმირთა თაობა
1-VI	ალკაზარ

დასაწყ. 8 ს. 30 წ.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

30-V	სამანიშვილის დედინაცვალი
1-VI	სამანიშვილის დედინაცვალი

დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

დღეს კინოთეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8. 9-30, 11	ახალი ხმოვანი ფილმი გობსეკი ო. ბალზაკის ნოველის მიხ.
დამკვრელი 6-30, 8. 9-30, 11	(საზამთ. და საზაფხ.) ახალი ხმოვანი ფილმი გოგონა კამჩატკიდან
კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30	(საზაფხ. და საზამთრო) ახალი ხმოვ. ფილმი ცამეტნი
რ. ლუქსემბ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	დადგმის მე-3 კვირა ხმოვ. სურ. ქართულ ენაზე ნარინჯის ველი
26 კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	საზამთ. შენ. დარიკო საზაფხ. „ტომ სოიერი"
ახალი ამბები.	ესპანეთის ამბები გამოშ. მე-17, საბჭოთა ხელოვნება № 3.
კომინტერნი (საზაფხულო) 8-30, 10-30	ხმოვანი ფილმი ქართულ ენაზე დარიკო

საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი ამა წლის 3 ივნისს, საღამოს 7 საათზე იწვევს დაწყ. და საშ. სკოლის მუშაკთა კავშირის

ცენტრ. კომიტეტის მე-3 პლენუმს

თბილისის განათლების მუშაკთა სახლის დიდ დარბაზში

დღის წესრიგი:

1. ცენტრ. კომიტეტის პრეზიდიუმის ანგარიში და პროფორგანიზაციის ამოცანები საკ. პროფსაბჭოს მე-6 პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით (ამხ. კ. ქაცარავა).
2. პროფორგანოების არჩევნების ინსტრუქცია (ამხ. ლ. ანდრიაძე).
3. 1936 წ. პროფბიუჯეტის შესრულება და 1937 წ. პროფბიუჯეტის დამტკიცება, 1936 წ. სოც. დაზღვევის ბიუჯეტის შესრულება (ამხ. ა. დადიანი)
4. საორგანიზაციო საკითხები.

17123

7 ივნისს 1937 წ. საღამოს 7 საათზე საქფილეგთის შენობაში (პლეხანოვის გამზ. № 123) დანიშნულია

მისაღები გამოცდა

ქართულ ესტრადის სტუდიაში.

91

კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ამაშუკელი აცხადებს, რომ 1937 წ. 4 ივნისს 2 საათზე ქ. თბილისში, ასკანის შესახვევი № 1, **საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის** მოქ. კოლია არშაკის-ძე ახვერდოვის ქონებას:

სარკიან შიფონერს, ზინგერის ფეხით საკერავ მანქანას, ნიკელის სამოვარს, კედლის საათს და მოქ. სერგო სააკიანის, მცხ. აზიზბეგოვის აღმართი № 11: ტანისამოსის უბრალო შკაფს, ბუფეტს, ორ ხალიჩას. ქონება შეფასებულია 2.856 მანეთად და გაიყიდება მოქ. მიკიჩა ზურაბოვისა და სირანუშა ზურაბოვის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ 1937 წლ. 23 აპრილს № 1/662-ით გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა. 17121

სახელგამი

აცხადებს, რომ, თანახმად სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა, მის სისტემაში შემავალი საბიბლიოთეკო კოლექტორი აწარმოებს ყველა ტიპის ბიბლიოთეკების დაკომპლექტებას საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული ლიტერატურით, სხვადასხვა გამომცემლობათა წიგნების პროდუქციით: ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე. ბიბკოლექტორი აწარმოებს აგრეთვე საბიბლიოთეკო ტექნიკით (ბარათები, წიგნების და მკითხველთა ფორმულიარები, საინვენტარო წიგნები, ყველა სახის საბიბლიოთეკო ყუთები და სხვ.) მომარაგებას.

მისამართი—პუშკინის ქ. № 19, ბიბკოლექტორი.

3—3 190

ნიკო, ფრიდა, ალიკ და თამარ კიკნაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი მეგობრის

აკაკი ჟუონიას

ვერაგულად მოკვლას მტრის ხელით.

დამწუხრებული და კატო, სიძე გრიშა შვილებით სირაძეები იუწყებიან ძვირფასი ძმის

გრიგოლ (გიგო) ევგენის-ძე ონიკაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას.

დაკრძალვა 1 ივნისს, საღამოს 5 საათზე. ბინიდან—კუდრიავცევის ქუჩა № 12.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ბ—8255